პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

[illegible]
ხუთშაბათი.
27
დეკემბერი
1934 წ.
№ 294 (4158)

— ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — კოლმეურნეობებისათვის სათესლე დახმარების აღმოჩენის შესახებ. (1-ლი გვ.)
— ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.).
— საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა (მე-2 გვ.)
— ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. (1-ლი გვ.).
— საბრალმდებლო დასკვნა ნიკოლაევის და სხვების საქმეზე (მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველხარისხოვანი თესლი საკოლმეურნეო მინდვრებს

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ერთ-ერთ სერიოზულ საპასუხისმგებლო უბანს წარმოადგენს სათესლე მასალის გამოყოფა და მისი წინასწარ ყოველმხრივ მომზადება. ცხადია სოფლის მეურნეობაში ახლანდელი ეტაპის ცენტრალური ამოცანის — **მოსავლიანობის გადიდების** — უზრუნველყოფა შეუძლებელია ისე, თუ მტკიცედ არ იქნა განხორციელებული პარტიის და ხელისუფლების დირექტივები პირველ - ხარისხოვანი სათესლე მასალის ყოველმხრივ მომზადების შესახებ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდად გაძლიერდა კოლმეურნე მასების ყურადღება სათესლე მასალის გაუმჯობესებისადმი. მოწინავე კოლმეურნეები აქტიურად ზრუნავენ ხარისხოვანი თესლის შემოღებაზე, ჯიშიანი ნათესი ფართობის გადიდებაზე და მეთესლეობის კულტურის ყოველმხრივ ამაღლებაზე.

ეს ცხადია. ასეც უნდა იყოს. კოლმეურნე მასები რომლებიც თავიანთ ბედსა და მომავალს მტკიცედ უკავშირებენ საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებასა და გამაგრებას არ შეიძლება დიდი აქტივობით არ ზრუნავდნენ სათესლე მასალის გაუმჯობესების გზით მოსავლიანობის გადიდებაზე.

ავიღოთ მაგალითად სოფელ წრომის კოლმეურნეობა **სტალინისის** რაიონში, ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობა **სიღნაღის** რაიონში ახალი სოფლის კოლმეურნეობა **სენაკის** რაიონში ამ კოლმეურნეობებმა მარცვლეულის აღების დამთავრებისა და სახელმწიფოს წინაშე თავისი ვალდებულების მოხდისთანავე გამოყვეს პირველ - ხარისხოვანი მარცვლეული სათესლედ და აგროტექნიკის ყველა მოთხოვნის დაცვით ინახავენ მას. და ასეა ყველგან, სადაც ჩანს ოპერატიული ხელმძღვანელობა და საქმისადმი გულშემატკივრობა.

მაგრამ არის უხეირო ხელმძღვანელობა და უხეირო შედეგიც. ჯერ კიდევ არიან რაიონები სადაც კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მაინცდა - მაინც თავს არ იწუხებენ თესლზე ამის შედეგია ის, რომ მარცვლეულის მოსავლის განაწილება თითქმის ყველგან დამთავრებულია, ხოლო სიმინდის თესლის გამოყოფის გეგმა აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებს შესრულებული აქვთ მხოლოდ 31,1 პროცენტით.

ლაგოდეხის რაიონს, სადაც წელს სიმინდის უხვი მოსავალი იყო სიმინდის თესლის გამოყოფის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებული აქვს 19,7 პროცენტით, **ლუქსემბურგის** რაიონს 47 პროცენტით, **ამბროლაურის** 10—35,9 პროცენტით.

ყველა ვადა ამოიწურა **კარტოფილის** თესლის შეგროვება კი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ამ საქმეშიც ყველაზე უფრო ჩამორჩენილია ლაგოდეხის, შემდეგ ყვარელის, ყარაიას და კასპის რაიონები რაც შეეხება ბოსტნეულის თესლს, ამ მხრივ რესპუბლიკაში თითქმის ვერც ერთი რაიონი ვერ დაიკვეხებს მოწინავეობას.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ მთელი რიგი კულტურების სათესლე მასალის გამოყოფის საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. ეს მოწმობს აგრეთვე იმას, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ცოცხლობს თესლის გაზაფხულზე ძებნის მამაპაპური მავნე ტრადიცია. და ამ საქმეს არ ექცევა მთელი რიგი რაიონული პარტიული ორგანიზაციების ყურადღება.

ვინ უნდა ახორციელებდეს სახელმწიფოებრივ კონტროლს სათესლე მასალის გამოყოფასა და შენახვაზე? ცხადია, რაიონული აღმასკომები მიწგანები და სოფლის საბჭოები ზემოხსენებული ორგანიზაციების მხრივ კი არ ჩანს კონტროლი არ ჩანს ზრუნვა თესლის ხარისხსა და შენახვაზე.

ავიღოთ მაგალითად თავთავიან მარცვლეულ კულტურათა თესლის მდგომარეობა გეგმა ამ დარგში კარგა ხანია შესრულებულია, მაგრამ თუ როგორია გამოყოფილი თესლის მდგომარეობა ეს ბევრგან არ იციან არც სოფლის საბჭოებმა და არც რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

მარტო თესლის გამოყოფა როდია საკმარისი. საჭიროა იმის **გულდასმით შემოწმება თუ რა მდგომარეობაშია თესლი ბეღლებში**. ხომ არის შესაძლებელი თესლი დასველდეს ჩახურდეს, ამოვარდეს და გაფუჭდეს!

ანდა განა შეიძლება სოფლის და რაიონის პარტიული ორგანიზაციები დაკმაყოფილდნენ თესლის გამოყოფის დავალებათა მარტო **რაოდენობრივი** შესრულებით? ხომ იყო გასულ წლებში მაგალითები, როდესაც კულაკური ელემენტების გავლენით კოლმეურნეობები თესლად ყოფდნენ უვარგის მარცვლეულს ხოლო ხარისხოვანს შრომა დღეების მიხედვით ანაწილებდნენ! სად არის იმის გარანტია რომ ასეთი ფაქტები წელს არ განმეორდება.

და აი სწორედ ამ საქმეში უნდა გამოიჩინონ სოფლის პარტორგანიზაციებმა და მიწგანებმა **ბოლშევიკური სიფხიზლე და კონკრეტულობა**. გარდა იმისა რომ უახლოეს დღეებში მთლიანად უნდა შესრულდეს ყველა კულტურათა თესლის გამოყოფის გეგმა **საჭიროა თესლის ხარისხის გულდასმით შემოწმება**. დროა ამოქმედდნენ სათესლე მასალის ხარისხის შემმოწმებელი **ლაბორატორიები** თესლის გაჯანსაღების [illegible] სამოსარჩევად. დროა [illegible] წესრიგში იქნან მოყვანილი ტრიერები და ახლავე გაჩაღდეს მარცვლეულის [illegible].

ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე მასალის ჯიშიან თესლზე გადაცვლის ორგანიზაციას. ბოლოს უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ერთი კოლმეურნეობა უჯიშო მარცვლეულს თესავს. მაშინ როდესაც მის მეზობლად სხვა კოლმეურნეობები ჯიშიან თესლს ფქვავენ და ჭამენ.

ჩვენ გვაქვს ყველა პირობა 1935 წლისათვის საკოლმეურნეო მინდვრები უზრუნველვყოთ ჯანსაღი პირველხარისხოვანი თესლით. ეს საშუალება მთლიანად უნდა გამოვიყენოთ. ეს კი იმის საუკეთესო გარანტია იქნება, რომ 1935 წელს ჩვენი კოლმეურნეობები მიიღებენ უხვ, სარეკორდო მოსავალს.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

მოსკოვი, 26 დეკემბერი. იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვის ოლქმა, თათართა ა. ს. ს. რ., გორკის მხარემ, ბაშკირეთის ა. ს. ს. რ., დასავლეთის ოლქმა ივანოვოს ოლქმა, აღმოსავლეთ ციმბირის მხარემ, ბელორუსიის ს. ს. რ. და სომხეთის ს. ს. რ. შეასრულეს პურის დამზადების წლიური გეგმა, დაწესებული მათთვის ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ, და მთლიანად უზრუნველყვეს თავისი თავი თესლით საგაზაფხულო თესვისათვის, — ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:** ნება დაერთოს დასახელებული რესპუბლიკების მხარეების და ოლქების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს შეუფერხებლად მიჰყიდონ თავისი პური (ფქვილის, მარცვლეულის, გამომცხვარი პურის სახით) როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე გაყიდონ საქალაქო და სასოფლო ბაზრებზე და რკინის გზების სადგურებზე.

ს. ს. რ. კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. სტალინი.**
1934 წლის, 26 დეკემბერი.

კოლმეურნეობებისათვის სათესლე დახმარების აღმოჩენის შესახებ

ს ს.რ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

კოლმეურნეობების შემდგომი სამეურნეო განმტკიცების მიზნით, ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. მიეცეს სახელმწიფო მარაგიდან სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ კოლმეურნეობებს სათესლე, სასურსათო და საფურაჟე სესხი 69.197 ათასი ფუთის რაოდენობით.

2. კოლმეურნეობებისათვის მისაცემი სათესლე, სასურსათო და საფურაჟო სესხი რაიონების მიხედვით გაანაწილდეს შემდეგნაირად:

უკრაინის ს. ს. რ.-ის კოლმეურნეობებს — 38 მილიონ 550 ათასი ფუთი, მათ შორის: დნეპროპეტროვსკის ოლქს — 12.200 ათასი ფუთი, ოდესის ოლქს — 10.900 ათასი ფუთი, დონეცის ოლქს—6.400 ათასი ფუთი, ხარკოვის ოლქს — 5.450 ათასი ფუთი, ვინნიცის ოლქს—2.450 ათასი ფუთი, კიევის ოლქს — 950 ათასი ფუთი, ჩერნიგოვის ოლქს — 200 ათასი ფუთი, აზოვ-შავი ზღვის მხარის კოლმეურნეობებს — 4 მილიონი ფუთი. ჩრდილო - კავკასიის მხარის კოლმეურნეობებს — 1.100 ათასი ფუთი. სტალინგრადის მხარის კოლმეურნეობებს 7 მილიონი ფუთი. სარატოვის მხარის კოლმეურნეობებს — 7 მილიონი ფუთი. შუა-ვოლგის მხარის კოლმეურნეობებს— 5 მილიონი ფუთი. ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეობებს — 1.370 ათასი ფუთი. დასავლეთ - ციმბირის მხარის კოლმეურნეობებს — 5 მილიონი ფუთი; ტაჯიკისტანის ს. ს. რ-ის კოლმეურნეობებს — 177 ათას ფუთი.

3. სათესლე, სასურსათო და საფურაჟე სესხი გაიცეს უპროცენტოდ და აუცილებლად დაბრუნებულ იქნას ნატურით 1935 წლის შემოდგომაზე, ამასთან სახელმწიფოს ადმინისტრატიული და სატრანსპორტო ხარჯები დაერიცხოს სესხის დაბრუნებისას ათი ფუთის რაოდენობით გაცემული სესხის თვითეულ 100 ფუთზე.

4. ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციას და კოლმეურნეობების ყურადღებას მიაქცევენ იმაზე, რომ თესლის შეგროვება და გაწმენდა ყველგან უნდა დამთავრდეს უმოკლეს ვადაში, რათა გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის თავის დროული მომზადებით უზრუნველყოფილ იქნას თესვის ადრე დამთავრება და ამით უფრო მაღალი მოსავლის მიღება.

ს. ს. რ. კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. სტალინი.**
1934 წლის 26 დეკემბერი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის შედეგები

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენება მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის და საქალაქო კომიტეტის წევრთა მონაწილეობით

1934 წლის 15 დეკემბერს

ამხანაგებო! გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებიდან თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენი პარტიის ც. კ-ის ნოემბრის პლენუმმა განიხილა პურის და ზოგიერთი სხვა პროდუქტების საბარათო სისტემის გაუქმების, სოფლის მეურნეობაში პოლიტგანყოფილებათა საკითხები და შემდეგ, მიმდინარე საქმეების წესით, სოფლის მეურნეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები: მეცხოველეობის განვითარების, სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების კოლმეურნეობათა ფინანსიური მდგომარეობის და დავალიანების, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის, ჩამორჩენილი კოლმეურნეობათა, კომბაინების და კომბაინერების შესახებ.

პირველი ორი მთავარი საკითხი — საბარათო სისტემის გაუქმების და პოლიტგანყოფილებათა გარდაქმნის შესახებ წარმოადგენს როგორც ქალაქში, ისე სოფლის მეურნეობაში ჩვენი პარტიის შემდგომი მუშაობის გენერალურ პროგრამას. ეს ორი საკითხი, განსაკუთრებით პლენუმის მიერ განხილულ მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, აჯამებენ უდიდეს ისტორიულ პერიოდს, საბარათო სისტემის — ექვსი წლის მანძილზე და პოლიტგანყოფილებების ორი წლის მანძილზე. ისინი ნათლად მოწმობენ, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების გიგანტურ ზრდას, სახავენ დიდ პერსპექტივებს და როგორც ორგანიზაციულ - სამეურნეო, ისე პოლიტიკურ ამოცანებს.

საბარათო სისტემის გაუქმების მნიშვნელობა

საბარათო სისტემა შემოღებულ იქნა ისეთ პირობებში, როცა ჩვენმა პარტიამ დაიწყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გიგანტური გეგმის განხორციელება და როცა სოფლის მეურნეობას, მეტწილად ერთპიროვნულს (კოლმეურნეობებში მაშინ სულ იყო მეურნეობათა 2 პროცენტი) არ შეეძლო ქალაქებისა და ახალ მშენებლობათა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

1928 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოგვცეს დამზადებული პურის დაახლოვებით 14 პროცენტი. სულ ჩვენს ქვეყანაში დამზადდა 650 მილიონი ფუთი პური, მათ შორის 416 მილიონი ფუთი სასურსათო კულტურები. დაქსაქსული გლეხური მეურნეობანი მკვეთრად ჩამორჩებოდნენ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ზრდას, მათი მოსავლიანობა მეტად დაბალი იყო.

საჭირო შეიქნა განსაკუთრებული ღონისძიებანი. სოფლის მეურნეობის გარდაქმნის დარგში, პურის დამზადების სისტემასა და მეთოდებში, დამზადებული პურის განაწილების სისტემასა და მეთოდებში — იმისათვის, რომ მზარდ სოციალისტურ ინდუსტრიას მიეღო აუცილებელი მატერიალურ-სასურსათო ბაზა, ურომლისოდ წარმოუდგენელია როგორც ქალაქების განვითარება, ისე მრეწველობის ზრდა.

შემოვიღეთ რა საბარათო სისტემა, ჩვენ ყოველნაირად ვცდილობდით გაგვეუმჯობესებინა იგი. 1931-1932 წლებში მომარაგების ორგანოები ცუდად მუშაობდნენ, ჩვენში იყო რიგები პურზეც და სხვა პროდუქტებზეც. ასევე ცუდად მუშაობდნენ ჩვენი სასადილოები.

მომარაგების ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად მოეწყო მუშათა დახურული კოოპერატივები, ხოლო შემდეგ — მუშათა მომარაგების განყოფილებები საწარმოებთან. საბარათო სისტემა ჩვენ გავამაგრეთ მომარაგების ორგანოების გარდაქმნით, რათა ნორმირებული პროდუქტებით პირველ რიგში მუშები დაგვეკმაყოფილებინა.

პურის ქარხნები მაშინ თითქმის არ ყოფილა. მხოლოდ უკანასკნელი სამ-ოთხი წლის განმავლობაში უზრუნველვყავით პურის ქარხნებით და დიდი მექანიკური პურსაცხობებით მოსკოვი, ლენინგრადი და მთელი რიგი სხვა ქალაქები.

საბარათო სისტემით პროდუქტებს ღებულობდა 50 მილიონამდე კაცი. გარდა ამისა, ტექნიკური კულტურების რაიონებში დასაქონლიანების წესით პურით ნაწილობრივ მარაგდებოდა 24 მილიონამდე კაცი.

თუ ჩვენ შევძელით გათავისუფლება ბამბის იმპორტისაგან და სელისა და სხვა კულტურების ნათესების საგრძნობლად გაფართოება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დასაქონლების გზით მოვახერხეთ უზრუნველგვეყო პურით მებამბეები, სელის დამმუშავებლები და ტექნიკური კულტურების სხვა მწარმოებლები.

იმის მიხედვით, თუ რამდენად იზრდებოდა სოფლის მეურნეობა, რამდენად მტკიცდებოდა საკოლმეურნეო წყობილება და დიდდებოდა იმ პურის რაოდენობა, რომელსაც სახელმწიფო ამზადებდა, — ჩვენ ვანვითარებდით პურისა და სხვა საქონლის კომერციულ ვაჭრობას, აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობას.

კომერციული ვაჭრობის შემოღებამ ერთგვარი გაორება შეიტანა მომარაგების სისტემაში: მივიღეთ ორი სისტემა — საულუფო და კომერციული.

კომერციული ვაჭრობა იზრდებოდა ყოველწლობით; 1931 წელს კომერციული ვაჭრობის ხვედრითი წონა საერთო საქონელბრუნვაში შეადგენდა სულ 3 პროცენტს, 1934 წელს 24 პროცენტს. პურის ხაზით კომერციული ვაჭრობა ამჟამად შეადგენს 44 პროცენტს, ნორმირებულ ვაჭრობასთან შედარებით. შაქრის ხაზით — 25 პროც., საკონდიტრო საწარმოების ხაზით 30-ს და კონსერვების ხაზით — 28 პროც.

პირველ ხანებში კომერციულ მაღაზიებში მაღალი ფასები იყო. ჩვენ ყოველწლობით ვაკლებდით ფასებს, კომერციულ საქონელზე. შაქარზე ფასი შემცირდა ორჯერ, ფასები შემცირდა აგრეთვე კომერციულ და სხვა პროდუქტებზე.

თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ დიდძალი ხალხი პურსა და სხვა პროდუქტებს საკოლმეურნეო ბაზარზედაც ყიდულობდა, გასაგები გახდება, რომ საბარათო სისტემა ისპობა არა ადმინისტრატიული წესით, არამედ მის მოსპობას შექმნილი აქვს ეკონომიური ბაზა.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა უდიდესი სარგებლობა მოიტანა თავის დროზე საბარათო სისტემამ. სავსებით ცხადია, რომ ბარათების შემოუღებლად ჩვენ არა თუ ვერ უზრუნველვყოფდით ქვეყანას ტექნიკური კულტურებით, ვერ გამოვკვებავდით ქალაქებს, ქარხნებს და ფაბრიკებს.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მოსკოვში, მაგალითად 1928 წელს იყო ორი მილიონი მცხოვრები, ისინი დღე და ღამეში ხმარობდნენ 1100—1200 ტონა პურს.

1934 წელს მოსკოვში უკვე 3.600 ათასი მცხოვრებია და ისინი დღეში ხმარობენ 2.750—2800 ტონა პურს. საბარათო სისტემის გარეშე ჩვენ ვერ უზრუნველვყოფდით პურით ქალაქების სწრაფად მზარდ მოსახლეობას და ახალ მშენებლობებს.

ჩვენ, ბოლშევიკებს, ყოველთვის შეგვეძლო უარი დაგვეთქვა და გაგვეთვალისწინებინა პირობების შეცვლა. ჩვენ შესანიშნავად ვხედავდით იმ უარყოფით მხარეებს, რომლებიც ახასიათებს საბარათო სისტემას. ის მოითხოვს ვეებერთელა გამანაწილებელ აპარატს, ქმნის უკიდურეს სირთულეს [illegible] თვით მომხმარებლისათვის; სტალინის სახელობის ავტოქარხნის ერთმა მუშამ თქვა, მაგალითად, რომ მას პურის ტალონების მისაღებად დასჭირდა 15 ხელის მოწერისა და რეზოლუციის თავის მოყრა, და ეს არა იმიტომ, რომ ავტოქარხანაში ცუდად არის დაყენებული მომარაგება. საქმე აქ თვით საბარათო სისტემის სირთულეშია.

ბარათები ქმნიდენ საქონლის მექანიკურ განაწილებას; — როგორც ამხანაგმა სტალინმა განაცხადა პარტიის მე-17 ყრილობაზე — და კიდევ დიდი ხნით ადრე ყრილობამდე — საქონელბრუნვის გაძლიერების, საბჭოთა ვაჭრობის გაძლიერების შესახებ—არ შეიძლება ძლიერად განხორციელებული იქნეს, თუ დავტოვებთ საბარათო სისტემას. ის არ შეიძლება არ წარმოადგენდეს ერთგვარ მუხრუჭს საქონელბრუნვისა და საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში. ჩვენ ვხედავდით ამას, ეს ვიცოდით წინათაც, მაგრამ ვითმენდით, ვიდრე ვხედავდით საბარათო სისტემის პლიუსები სჭარბობდნენ მინუსებს. ამჟამად კი ჩვენ უკვე საკმაოდ ძლიერნი ვართ და შეგვიძლია უარი ვთქვათ პურის და მთელ რიგ სხვა პროდუქტების ბარათებზე.

ბარათების გასაუქმებლად აუცილებელია რესურსები, აუცილებელია სოფლის მეურნეობის აღმავლობის მიღწევა.

წელს მიუხედავად მოუსავლიანობისა უკრაინის, ჩრდილოეთ - კავკასიის, ქვემო-ვოლგის მთელ რიგ რაიონებში, **ჩვენ პურის ბალანსი გაცილებით უკეთესი მივიღეთ**, ვიდრე ყველა წინანდელ წლებში. ეს ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ყველაზე ნათლად მოწმობს საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების სისტემის უპირატესობას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს უკვე მოგვცეს დამზადებული პურის 92 პროც. სახელმწიფოს გააჩნია მილიარდ-ნახევარი ფუთი პური (ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე 1928 წელს) და მას შეუძლია პურის წინანდელი განაწილებიდან გადავიდეს მის ფართოდ გაყიდვაზე ერთიან სახელმწიფო ფასებში. ამიტომაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხანაგი სტალინის წინადადებით მიიღო დადგენილება საბარათო სისტემის ლიკვიდაციის შესახებ.

საბარათო სისტემის გაუქმება ჩვენ გვაძლევს შემდეგ მნიშვნელოვან პლუსებს.

საბჭოთა ვაჭრობის საქონელბრუნვის გაშლა. საბარათო სისტემის გაუქმება ნიშნავს, რომ საქონლის მექანიკური, ბრმა განაწილებაზე ხელი უნდა ავიღოთ. ჩვენ გვაქვს საკმაოდ კარგად ორგანიზებული მრეწველობის საქონელი, იზრდება აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მაგრამ ეს ცოტაა, საჭიროა დავაწესოთ საქონლის შემხვედრი გაცვლა, უნდა ვისწავლოთ საქონლის კულტურულად დაყვანა მომხმარებლამდე.

საბარათო სისტემის გაუქმებამ სავაჭრო ორგანიზაციები უნდა აიძულოს ძირიანფესვიანად გარდაქმნან თავისი მუშაობა მომხმარებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად. მომხმარებელი რომელიც საკუთარი ფულით ყიდულობს საქონელს, რომელ მაღაზიაშიაც მას უნდა, წარმოადგენს უფრო გაფართოებულ მოთხოვნებს და ეს გვაიძულებს ვივაჭროთ უკეთ, უფრო სუფთად კულტურულად, აღმოვფხვრათ უპატივცემლობა, უსულგულო დამოკიდებულება მომხმარებლისადმი, რომელსაც ადგილი აქვს სავაჭრო ქსელის მთელ რიგ რგოლებში.



მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები ისწავლიან საქონლის დაყვანას მომხმარებლამდე, მას შემდეგ, როცა ისინი მოაგვარებენ საქონელბრუნვას, მას შემდეგ, როცა ჩვენ საქონელბრუნვას გამოვიყვანთ „ბოლომდე“, ამის შემდეგ ჩვენ შეგვეძლება დავსვათ საკითხი საქონელბრუნვიდან პროდუქტცვლაზე გადასვლის შესახებ.

საბარათო სისტემის გაუქმება რეალურ, მატერიალურ ბაზაზე აყენებს ფასების დაკლების პოლიტიკას. საულუფო პური, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობის მხრივ მას დიდი ადგილი ეკავა, საბაზრო ფასებზე თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენდა, რადგან იგი დახურულ სისტემაში იყიდებოდა. საბარათო სისტემა ჩვენ გვართმევდა უდიდეს ბერკეტს საბაზრო ფასებზე გავლენის მოსახდენად. დღემდე ჩვენ შეგვეძლო ბაზარზე გავლენა მოგვეხდინა, უმთავრესად, კომერციული ვაჭრობით; ამჟამად ბარათების გაუქმებით ერთად სახელმწიფო ღებულობს მძლავრ საშუალებას საბაზრო ფასების დაკლებაზე გავლენის მოსახდენად. ყოველი მუშა და მშრომელი უმოკლეს ვადაში დარწმუნდება, რომ პურის საბაზრო ფასები დაიკლებს და ეს კი, თავის მხრივ გამოიწვევს ყველა სხვა პროდუქტის ფასების დაკლებას. უკვე მარტო იმან, როცა გამოქვეყნდა ცნობა პირველი იანვრიდან საბარათო სისტემის გაუქმების შესახებ, გავლენა იქონია საბაზრო ფასების დაკლებაზე. ფასების დაკლებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეცხოველეობის აღმავლობის, შემდგომი განვითარების თვალსაზრისითაც.

ბოლოს, რეფორმის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძირს უთხრის პურის სპეკულაციას. რა დასამალია, რომ ახლა ბევრი, ღებულობს რა პურს იაფ საულუფო ფასში, მას ყიდის ბაზარში მერძევეებზე და სხვაზე.

პურის ორგვარი ფასი ხელს უწყობს წვრილი სპეკულაციის გაძლიერებას. საბარათო სისტემის გაუქმება და პურზე ზოლების მიხედვით ერთიანი ფასების დაწესება ასპობს სპეკულაციას.

საბჭოთა მანეთი, უეჭველად, განმტკიცდება. ჩვენი მანეთის ღირებულების გადიდების პოლიტიკა, რომელსაც პარტია და მთავრობა ატარებდნენ, ხშირად ხვდებოდა საბარათო სისტემიდან გამომდინარე დაბრკოლებებს. ბარათების ლიკვიდაცია, საქონელბრუნვის და ვაჭრობის გაფართოება იწვევს ჩვენი მანეთის ღირებულების გადიდებას და სწრაფად განმტკიცებას და, მაშასადამე, რეალური ხელფასის გადიდებასაც.

ფულადი მხრივ სახელმწიფო ამ რეფორმიდან არა თუ არ მიიღებს მოგებას, არამედ, პირიქით, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სახელმწიფო ნახავს ფულად ზარალს. სამაგიეროდ საერთო ეკონომიური შედეგი უეჭველად სარფიანი იქნება ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრებისა და მშრომელთა ფართო მასებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებს სწორად ესმით პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის გადაწყვეტილება. საბჭოების მიმდინარე არჩევნებში მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები ერთსულოვნად იწონებენ საბარათო სისტემის გაუქმებას, რადგან მასში ხედავენ სოციალისტური მეურნეობის ახალი მძლავრი აყვავების, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის და ყველა მშრომელის კეთილდღეობის ზრდის საწინდარს (მქუხარე ტაში).

საბარათო სისტემის ლიკვიდაციის პრაქტიკული ღონისძიებანი

ბარათების გაუქმებასთან ერთად პურის ფასები დაწესებულია საულუფო და კომერციული ფასების საშუალო დონეზე. მუშათა სახელმწიფო აქ ყველაზე უფრო მკაფიოდ იჩენს თავს როგორც მუშათა სახელმწიფო იმით, რომ ამავე დროს ადიდებს მუშების და მოსამსახურეების ხელფასს 4 მილიარდზე მეტი მანეთით, ადიდებს ტექნიკური კულტურების დამზადების ფასებს და ადიდებს დამზადების ფასებს 10 პროცენტით მარცვლეულის ჩაბარების დარგში და 20 პროცენტით გლეხებისაგან პურის შესყიდვის დარგში.

მუშათა ხელფასი უკანასკნელ წლებში განუწყვეტლივ იზრდებოდა. ავიღოთ, მაგალითად, ქარხანა „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მუშათა საანგარიშო საარჩევნო კრებაზე მე უკვე მოვიყვანე ცნობები „ტრიოხგორკის“ მუშათა ხელფასის შესახებ ცალკეული პროფესიების მიხედვით. ეს ციფრები მეტად დამახასიათებელია ქალების მიმწოდებელი ქალი 1931 წელს თვეში აკეთებდა 60 მანეთს, ახლა კი—138 მანეთს.

ბატერის მანქანაზე მომუშავე ქალი 1931 წელს თვეში აკეთებდა 87 მანეთს, ახლა კი აკეთებს 182 მანეთს.

დამრთველი ქალი 1931 წელს თვეში აკეთებდა 95 მანეთს ახლა კი—195 მანეთს.

მხვეველი ქალი 1931 წელს თვეში აკეთებდა 75 მანეთს, ახლა კი—170 მანეთს.

მხერავი ქალი სამ მანქანაზე 1931 წელს თვეში აკეთებდა 140 მანეთს. ახლა კი—264 მანეთს.

მქსოველი ოთხ დაზგაზე 1931 წელს თვეში აკეთებდა 90 მანეთს, ახლა კი—168 მანეთს.

მქსოველი ექვს დაზგაზე 1931 წელს თვეში აკეთებდა 90 მანეთს, ახლა კი 222 მანეთს.

ქვეოსტატი 1931 წელს თვეში აკეთებდა 197 მანეთს, ახლა კი—377 მანეთს.

როგორც „ტრიოხგორკის“ მაგალითიდან ვხედავთ, ამხანაგებო, საქსოვრო საწარმოებმა სამი წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ასეთივე მდგომარეობაა სხვა საწარმოებშიც.

ახლა 1935 წლის პირველ იანვრიდან ტარდება ხელფასის ახალი მომატება.

ხელფასის გადიდება, რომელიც ახლა ტარდება, ანაზღაურებს იმ განსხვავების უდიდეს ნაწილს, რომელიც მუშამ და მოსამსახურემ უნდა იხადონ პურის, ბურღულის და საზოგადოებრივ კვების ახალ ფასებთან დაკავშირებით. ერთი საწარმოს მუშები, რომლებიც ერთნაირ მომარაგებას ღებულობდნენ, ყველა მიიღებს ერთნაირ მომატებას, რომელიც შეტანილი იქნება სატარიფო განაკვეთში მოსკოვისათვის ეს მომატება დაახლოვებით შეადგენს ოცდახუთ მანეთამდე თვეში.

განსხვავება ხელფასის, სტიპენდიების და პენსიების წინანდელ და ახალ ოდენობას შორის არ დაიბეგრება გადასახადებით, გამოსაღებით მასზე არ გადახდება ბინის ქირა, კოოპერატივის საპაიო შესატანი და სხვ.

ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია დავაწესოთ ხელფასი მჭამელთა რაოდენობის პრინციპის მიხედვით. ხელფასი წესდება კვალიფიკაციის და შრომის ნაყოფიერების მიხედვით (დახარისხებული შრომის ხარისხის და ოდენობის მიხედვით).

ხელფასის გადიდების გატარების დროს ფაბკომების თავმჯდომარეები, საწარმოთა დირექტორები, პარტიული კომიტეტების მდივნები კონკრეტულად უნდა მიუდგნენ თვითეულ საამქროს, პროფესიას, ცალკეულ მუშასაც კი, შეისწავლონ მათი ადგილი წარმოებაში, კვალიფიკაცია, გამომუშავების ნორმები, შრომის ნაყოფიერება.

ახლა მკვეთრად დიდდება ხელფასის, როგორც მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ძირითადი რეგულატორის, მნიშვნელობა. პურის და სხვა პროდუქტების თავისუფლად გაყიდვა ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, აიწევს საბჭოთა მანეთის ღირებულება უკეთესად მომუშავე ადამიანები შესძლებენ მეტის გაკეთებას. ფულით მათ შეუძლიათ თავისუფლად იყიდონ ყოველგვარი პროდუქტი, რაც კი მათ სჭირდებათ.

ჩვენ მოველით ფასების ერთგვარ გადიდებას საზოგადოებრივ კვებაზე რომ ის გადიდება დიდი არ იქნეს, საჭიროა მაქსიმალურად შევამციროთ ადმინისტრაციული ხარჯები. არ დავუშვათ პროდუქტების გაფლანგვა. ვებრძოლოთ მტაცებლობის წინააღმდეგ.

ამასწინათ მე მომიხდა მისვლა ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში. შევედი სასადილოში. თურმე აქ სადილის ფასები ყოველ დღე იცვლება გუშინ სადილი ღირდა 70 კაპეიკი, დღეს ღირს 90 კაპეიკი, ხვალ კვლავ 70 კაპეიკი. ზეგ ღირება 1 მანეთი და 10 კაპ. ეს უნდა შესწყდეს. სადილზე უნდა— დაწესდეს მტკიცე ფასები. მოსკოვის კომიტეტის ბიურომ დაავალა ფაბკომების თავმჯდომარეებს, პარტიული კომიტეტების მდივნებს, საწარმოთა დირექტორებს სერიოზულად მოკიდონ ამ საქმეს ხელი, წავიდნენ სასადილოში, განიხილონ კალკულაცია, ადმინისტრატიული ხარჯები,—რამდენი კაცი ჰყავთ, ზედმეტები შეამცირონ და მისცენ მათ სხვა სამუშაო.

პურის არანორმირებულმა გაყიდვამ უნდა გამოიწვიოს პურის ხარისხის გაუმჯობესება. ქალაქი მოსკოვი, რომელსაც პურის შესანიშნავი ქარხნები აქვს, პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფება. ამ პურის ქარხნებზე ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ და უზრუნველვყავით [illegible] იმით, რომ შეუფერხებლად მოვამარაგებთ იგი გამომცხვარი პურით.

მოსკოვის ოლქში პურის ცხობის საქმე ჩამორჩენილია, ხოლო ისეთ ოლქებში როგორიც, მაგალითად, არის ივანოვოს, სვერდლოვსკის ოლქები, პურის ცხობის საქმე ცუდადაა.

პურის ცხობის გაფართოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია იმიტომ, რომ ფქვილზე დაწესებულია გაცილებით უფრო მაღალი ფასები, ვიდრე გამომცხვარ პურზე. აი ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ დაადგინეს გაადიდონ პურის ქარხნებისა და ფურნეების სადღეღამისო ძალოვანება 10.750 ტონით. ამჟამად ის ძალოვანება უდრის 34—35 ათას ტონას დღეღამეში. ხოლო უნდა იყოს 45—46 ათასი ტონა.

მოსკოვში პურის ცხობის ძალოვანების გადიდება გადაწყვეტილია 50 ტონით. ახლა მოსკოვი ყოველდღიურად აცხობს 2.800 ტონამდე პურს.

საკითხის ყოველმხრივ შესწავლამ დაგვანახა, რომ პურის ქარხნების ძალოვანება მთლიანად არ არის გამოყენებული. მოსკოვს შეუძლია [illegible] თურნეების დიდი რაოდენობის აღდგენითაც, [illegible] პურის ქარხნებს შეუძლიათ და უნდა გაადიდონ კარგი ხარისხის პურის ცხობა.

რაც შეეხება მოსკოვის ოლქს. აქ მდგომარეობა უფრო რთულია. ახლა აცხობენ დღეღამეში 2 360 ტონა პური.

მთავრობამ ჩვენ დაგვავალა გაგვედიდებინა ცხობა მინიმუმ 642 ტონით. ჩვენ კი [illegible] გავადიდოთ ცხობა 1500 ტონით.

რაიონები ვალდებული არიან თავისთავზე იკისრონ თურნეების შენება და მაღაზიების გახსნა.

(დასასრული იხ. მეორე გვერდზე)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტი ულრმესი მწუხარებით იუწყება საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის წევრის, ძველი, პარტიისათვის თავდადებული ბოლშევიკის ამიერ-კავკასიაში ს. ს. რ. კ. კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის

ამხ. ანტონ ივანესძე გაბერ-კორნის

გარდაცვალებას

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყება ძველი ბოლშევიკის, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ სამხარეო კომიტეტის წევრის, ამიერ-კავკასიაში ს. ს. რ. კ. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის

ამხ. ანტონ ივანესძე გაბერ-კორნის

გარდაცვალებას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები

მოსკოვი ვერ გაწვდება ოლქის ყველა ცალკეულ კუთხეს ჩვენ გასაკუთრებით უნდა ავამაღლოთ კოოპერაციის მუშაობა — გავამაგროთ ის ადამიანებით.

ადგილობრივმა რაიონულმა მუშაკებმა ხელი უნდა მოჰკიდონ პურის ცხობისა და ვაჭრობის ორგანიზაციის ყველა კონკრეტულ საკითხს.

რა არის საჭირო თუნდაც პატარა, ორი ტონა პურის გამომცხობი ფურნის ორგანიზაციისათვის? საჭიროა: შენობის გამოძებნა, მისი წესრიგში მოყვანა, ფურნის ხელსაწყოების შეძენა, ხეირიანი ღუმელის მოწყობა, საჭიროა მუშების შერჩევა. მათი უზრუნველყოფა ბინებით და ყოველივე ეს უნდა მოხდეს სულ ორ კვირაში. უკეთესი [illegible] დამზადებული შენობის გამოძებნა დაწესებულებების შემჭიდროება, შეიძლება საბჭოთა მეურნეობების შენობების გამოყენება. შეიძლება კოოპერაციის შემჭიდროებაც, მისი ზოგიერთი შენობის გამოყენება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასტიკი სანიტარული მეთვალყურეობის ორგანიზაციას. ჩვენ არ შეგვიძლია თუნდაც პატარა ფურნეშიც დავუშვათ ანტისანიტარული პირობები.

რაც შეეხება პურის სავაჭრო ქსელს, შეიძლება თვითეულ მაღაზიაში გამოიყოს პურის გასაყიდი განყოფილება ან კუთხე, შეიძლება მისი გასუფთავება, კულტურულად მოწყობა. საჭიროა გავხსნათ მთელი რიგი ახალი მაღაზიები.

მოსკოვში ცენტრიდან დაშორებულ რაიონებში სუსტია მაღაზიების ქსელი. ჩვენ განზრახული გვაქვს გავხსნათ პურის 212 ახალი მაღაზია და 19 ფარდული მარცვლეულ-ფურაჟის გასაყიდად. მოსკოვის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირს და მოსკოვის საბჭოს მოუხდებათ პრაქტიკულად თვითეულ ადგილზე, თვითეულ ქუჩაზე, ინახულონ მათი მაღაზიების განლაგება, გაითვალისწინონ მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესების აუცილებლობა. თუ წინათ მომხმარებელს ამაგრებდნენ მაღაზიაზე და ეუბნებოდნენ: პური შეგიძლია მხოლოდ აქ იყიდოვო,—ახლა მდგომარეობა იცვლება. სავაჭრო ქსელი ვალდებულია გაითვალისწინოს მომხმარებლის ბუნებრივი მოთხოვნილება, მომხმარებლის ბუნებრივი დენა.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ტრანსპორტის, პურის მოზიდვის საკითხი. არც ერთი მაღაზია არც ერთი საათით არ უნდა დარჩეს ისე, რომ იქ პური არ იყოს. პურის მიწოდება შეუფერხებლად უნდა ხდებოდეს. მოსკოვის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირი ვალდებულია მოაგვაროს ტრანსპორტის მუშაობა ისე, რომ არავითარი შეფერხება არ მოხდეს.

მოსკოვში თვითეულ მაღაზიაში, სადაც პურს ყიდიან უნდა იყოს ტელეფონი, ხოლო მოსკოვის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირში უნდა იყოს [illegible] ავტომობილების რეზერვი.

როცა გამყიდველი ხედავს, რომ პური უთავდება, რეკავს ტელეფონით: კეთილი ინებეთ და მოგვაწოდეთ ამდენი და ამდენი პური ამადაამ ასორტიმენტისო. სარეზერვო მანქანამ დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს პური.

ჩვენ თავის დროზე უნდა მოვამზადოთ პურის ცხობა, პურის ვაჭრობა ახალი წესით მუშაობისათვის, პურის ფართო გაყიდვისათვის სახელმწიფო და კოოპერატიულ მაღაზიებიდან. უნდა მივაღწიოთ ყველა იმ ორგანოების ზუსტ და შეუფერხებელ მუშაობას, რომლებიც პრაქტიკულად ატარებენ ასეთ პოლიტიკურ ღონისძიებას, როგორიც არის საბარათო სისტემის გაუქმება.

მტს-ის პოლიტგანყოფილებათა გარდაქმნა და სოფლად მუშაობის მორიგი საკითხები

მტს-ის პოლიტგანყოფილებათა გარდაქმნის საკითხი მოულოდნელი არ ყოფილა. პარტიის მე-17 ყრილობაზე მიღებულ წესდებაში და ორგანიზაციულ საკითხზე გამოტანილ დადგენილებაში სპეციალურად ხაზგასმული იყო, რომ პოლიტგანყოფილებანი იქმნება, როგორც დამკვრელური ორგანოები და რომ ამ დამკვრელურ ორგანოების საჭიროების განვლის შემდეგ ყრილობა ავალებს ც. კ-ს გარდაქმნას ისინი ჩვეულებრივ პარტიულ ორგანოებად.

პოლიტგანყოფილებებმა კოლოსალური როლი შეასრულეს. საჭირო არ არის სიტყვა გავაგრძელოთ იმაზე, რომ პოლიტგანყოფილებათა შექმნა იყო პარტიის უდიდესი პოლიტიკური ღონისძიება. როგორც თავის დროზე ლენინი წიგნში „რა ვაკეთოთ" და სტატიებში ორგანიზაციულ საკითხების გარშემო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს აყენებდა, ისე ამხანაგმა სტალინმა პოლიტგანყოფილებათა შექმნის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ც. კ-ის იანვრის პლენუმზე დააყენა საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლად ჩვენი მუშაობის ყველა საკითხი.

პოლიტგანყოფილებათა ორგანიზაცია არსებითად იყო მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის მობილიზაცია კოლმეურნეობათა განმტკიცების ურთულესი ამოცანების გადასაწყვეტად და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ც. კ-ის ნოემბრის პლენუმმა, შეაჯამა რა სოფლად მუშაობის შედეგები როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო დარგში, აღნიშნა, რომ ჩვენი სოფელი პოლიტიკურად განმტკიცდა, რომ კოლმეურნეობებში შექმნილია უპარტიო კოლმეურნეთა ფართო აქტივი, რომელიც დარაზმულია პარტიის გარშემო. ჩვენი სოფელი ახლა ის აღარ არის, რაც ორი წლის წინათ იყო, თუმცა კულაკობის ნაშთები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ლიკვიდირებული და აქა-იქ წინააღმდეგობას გვიწევენ, მაგრამ საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ გაიმარჯვა.

საბჭოთა გლეხობა სამუდამოდ დადგა სოციალიზმის წითელი დროშების ქვეშ (მქუხარე ტაში).

პოლიტგანყოფილებათა მუშაობის ახალი მეთოდების გავლენით გარდაიქმნენ აგრეთვე ჩვენი პარტიის რაიონული კომიტეტები. მათ იწყეს უკეთ მუშაობა—ეს ფაქტია. ამით მომზადდა საკითხი პოლიტგანყოფილებების გარდაქმნისა ნორმალურ რაიონულ პარტიულ ორგანოებად.

პოლიტგანყოფილების ყოველ მუშაკს ესმის, რომ ახლანდელ პირობებში პარტიის წინაშე სოფლის მეურნეობის დარგში კიდევ უფრო სერიოზული ამოცანები დგას. პოლიტგანყოფილებათა წინაშე ცენტრალურმა კომიტეტმა დასვა საბრძოლო საწარმოო ამოცანა —გააუმჯობესეთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა, განამტკიცეთ კოლმეურნეობანი. ამას ამჟამად ემატება ახალი—გააუმჯობესონ სოფლის საბჭოების, სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებების ხელმძღვანელობა, ამაღლონ კულტურული მუშაობა,—ჯანმრთელობის საქმე და დაამთავრონ ნამდვილად მებრძოლი ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციის შექმნა სოფლად.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა. რომლებსაც მტს-ის პოლიტგანყოფილებები შეუერთდებიან, უნდა იკისრონ კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობა. რაიკომების მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება, რთულდება მათი მუშაობაც. ამასთან დაკავშირებით დიდი და ფართო რაიონები 2—3 რაიონად იყოფა, ახალი რაიონების საფუძვლად აღებულია ერთ-ერთი მტს-ის საქმიანობის ტერიტორია.

ც. კ-ის პლენუმს არ განუსაზღვრავს ახლად შესაქმნელი რაიონების რიცხვი. ეს საკითხი უნდა დაამუშაონ საოლქო და სამხარეო კომიტეტებმა. დასახელებული იყო დაახლოვებით 500—600 ახალი რაიონი მთელ საბჭოთა კავშირში.

იმისათვის, რომ საოლქო და სამხარეო ორგანოებმა შესძლონ უკეთ, უფრო კონკრეტულად იხელმძღვანელონ რაიონების გადიდებულ რაოდენობას, ხდება მრავალი რაიონის შემცველი მთელი რიგი ოლქების და მხარეების დანაწილება.

ც. კ-ის ნოემბრის პლენუმამდე ორ ნაწილად უკვე დაყოფილი იყო ჩრდილო-კავკასიის მხარე, ქვემო ოლგის მხარე და ცენტრალური შავმიწიანი ოლქი, სამ ნაწილად —ურალის ოლქი, ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის შემდეგ დაიყო გორკის და შუავოლგის მხარეები.

და აღმოსავლეთ-ციმბირის, დასავლეთ-ციმბირის მხარეებიდან და ჩელიაბინსკის ოლქიდან რაიონების გამოყოფის გზით შექმნილია კრასნოიარსკის მხარე და ომსკის ოლქი. ირჩევა საკითხი მოსკოვის ოლქის გაყოფის შესახებაც, მაგრამ ამჟამად ეს საკითხი არ არის დღის წესრიგში. მოსკოვის ოლქში განზრახულია 25—26 ახალი რაიონის შექმნა.

ახლა ჩვენ გვაქვს 146 რაიონი, თუ მხედველობაში მივიღებთ ზოგიერთი რაიონის შეერთებას, გვექნება 160—165 რაიონი.

რაიკომებში იქმნება სასოფლო-სამეურნეო განყოფილებანი, ხოლო უფრო დიდ რაიკომებში შემოღებულია მეორე მდივნების თანამდებობა. სასოფლო სამეურნეო განყოფილებას უნდა განაგებდეს ან პირველი, ან მეორე მდივანი მტს-ის დირექტორს ეყოლება მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში.

საჭიროა აქედანვე გადაჭრით აღიკვეთოს ასეთი განწყობილებანი: რაკი მტს-ების პოლიტგანყოფილებანი გარდაიქმნებიან უერთდებიან რაიკომებს, მაშასადამე მოხსნილი, გადაჭრილია ის დაკვრითი ამოცანები, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა პოლიტგანყოფილებებს, საქმე უკვე ყველგან კარგადაა, მაშასადამე, შეიძლება შეამცირონ დაძაბულობა, იმუშაონ უფრო დამშვიდებით, „აუჩქარებლად", „დასვენო", „დაიძინო".

არაფერია იმაზე უფრო მავნე, ვიდრე ასეთი განწყობილებანი. სწორედ მათი გამოყენება შეუძლია კლასობრივ მტერს. ამასთან ნუ დაგვავიწყდება, რომ ისეთ რაიონებშიაც კი, სადაც „საშუალო" ციფრები ძალიან სანუგეშოა, მოიპოვებიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, ისეთი კუთხეები, სადაც ჯერ კიდევ საჭიროა მთელი მუშაობის გაშლა.

მტს-ების პოლიტგანყოფილებათა შეერთება რაიკომებთან საგრძნობლად აძლიერებს პარტიის რაიკომს და მოსკოვის კომიტეტის პასუხისმგებლობას კოლმეურნეობათა უშუალო ხელმძღვანელობისათვის, პირველ რიგში ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის, ისეთ ჩამორჩენილ სოფლებში მუშაობისათვის, სადაც სჭარბობენ ერთპიროვნული მეურნეები. რაიკომებმა არამც თუ მარტო უნდა გადმოიღონ პოლიტგანყოფილებათა მუშაობის მთელი გამოცდილება, [illegible], მეთოდები, არამედ კიდევ უფრო მაღალ სიმაღლეზე უნდა დააყენონ მთელი მუშაობა სოფლად. ამისათვის სოფლის ყველა კომუნისტებმა კიდევ უფრო ენერგიულად უნდა იმუშაონ. უნდა გამოიჩინონ კიდევ უფრო მეტი სიფხიზლე და ერთი წუთითაც არ შეანელონ აღებული ტემპები.

ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებს რაიკომების ყველა მდივანს და მტს-ების დირექტორების მოადგილეებს პოლიტიკურ ნაწილში. პოლიტგანყოფილებათა ყველა მუშაკი ვალდებულია დარჩეს სოფელში.

პოლიტგანყოფილებათა მუშაკებმა მთელი თავისი ბოლშევიკური არსებით უნდა შეიგნონ, რომ, ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ სოფლად, ყოველმხრივ უნდა იქნას განმტკიცებული; ჩვენი მხრით დაუშვებელი უპასუხისმგებლობა იქნებოდა, რომ მერყეული ბოლშევიკები — პოლიტგანყოფილებათა მუშაკები რომლებმაც დააგროვეს მუშაობის დიდი გამოცდილება, ახლა წასულიყვნენ სოფლიდან. არა, ამხანაგებო! პოლიტგანყოფილებათა მუშაკებმა არამც თუ მარტო ითამაშეს, არამედ ჯერ კიდევ ითამაშებენ დიდ პოლიტიკურ როლს. თქვენ მოამზადეთ კოლმეურნეობებში სწრაფად მზარდი ორგანიზატორები; გააძლიერეთ თქვენი მუშაობა სოფლად; დაეხმარეთ პარტიას კოლმეურნეობათა საბოლოოდ განმტკიცებაში; უზრუნველყავით მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა, კიდევ უფრო მეტად განამტკიცეთ პარტიის გავლენა უპარტიო კოლმეურნეებს შორის; გამოამჟღავნეთ და საბოლოოდ მოსპეთ კულაკობის ნაშთები. ხოლო, მაშინ... მაშინ, ჩვენ დავრწმუნებული ვართ, ახლანდელი სოფლის ცენტრები კულტურის მხრივ არ ჩამორჩებიან საქალაქო ცენტრებს და ის ცალკეული ამხანაგებიც კი, რომლებიც ახლა ცდილობენ სოფლიდან წასვლას —ისინი არ მოისურვებენ სოფლიდან წასვლას. სოფელი გადაიქცევა სოციალისტური კულტურის ნამდვილ ცენტრად, ყოველივე იმით, რაც ახასიათებს საბჭოთა ქალაქების კულტურას. (ტაში).

იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს სოფლად, მოწმობენ ის მიმდინარე საკითხები, რომლებიც განიხილა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

ჩვენი ქვეყნის გლეხურ მეურნეობათა სამი მეოთხედი გაერთიანებულია კოლექტივებში. სათესი ფართობის 90 პროცენტი ეკუთვნის კოლმეურნეობებს. მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი სოფლები, სადაც ჯერ კიდევ დარჩა ერთპიროვნულ მეურნეთა საგრძნობი ნაწილი. ჩვენ ვალდებული ვართ გავაძლიეროთ მუშაობა ერთპიროვნულ მეურნეებს შორის, საჭიროა ერთპიროვნული მეურნის პოლიტიკურად აღზრდა, მასთან მუშაობა.

ცენტრალურმა კომიტეტმა აირჩია სპეციალური კომისია. ეს კომისია უახლოვეს დროში დაამუშავებს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა საკითხებს.

კოლმეურნეობათა განმტკიცების და მათი მუშაობის გაუმჯობესების ერთერთ ღონისძიებად ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა იმ სასოფლო-სამეურნეო სესხების ძველი დავალიანების ჩამოწერა, რომლებიც მიეცა კოლმეურნეობებს 1933 წლის პირველ იანვრამდე. მთელ სახელმწიფოში ეს შეადგენს დაახლოვებით 435 მილიონ მანეთს, ხოლო მოსკოვის ოლქში დაახლოვებით 16 მილიონ მანეთს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ძველი დავალიანების ჩამოწერა კოლმეურნეობებისაგან—საბჭოთა სახელმწიფოს დიდი სამეურნეო და პოლიტიკური ღონისძიებაა.

ჩვენ დავამუშავეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, კერძოდ, მოსკოვის ოლქში ჩამორჩენილი კოლმეურნეობათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენში არის ისეთი კოლმეურნეობები, რომლებსაც არ ყავთ გამწევი ძალა, სადაც არ არის სწორი თესლთბრუნვა და სადაც ინვენტარის მდგომარეობა ძალზე ჩამორჩენილია. ბოლოს, კოლმეურნეთა ნაწილს ჯერ კიდევ არა ყავს ძროხები. ჩვენ ვალდებული ვართ უახლოეს დროში გადავსჭრათ ეს საკითხები.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ საერთო საკოლმეურნეო კრების როლი. გამგეობა ხშირად ჩქმალავს კოლმეურნეთა საერთო კრების მნიშვნელობას, ხოლო რაიონები ყოველთვის სერიოზულად როდი ითვალისწინებენ კოლმეურნეობათა მოთხოვნილებებს. პლენუმზე მოყვანილი იყო ფაქტები, როცა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს გზავნიან ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში, ამასთან არავითარ ანგარიშს არ უწევენ კოლმეურნეობებს და მხედველობაში არ ღებულობენ იმას, რომ თავმჯდომარემ უკვე შეისწავლა მეურნეობა, იცნობს ადამიანებს. ყოველივე ეს უნდა შესწყდეს.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა საბჭოების ყრილობის დროს მოიწვიოს დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობა. რომელიც გამოიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას და ღონისძიებებს კოლმეურნეების, როგორც სოციალისტური მეურნეობის აქტიური მშენებლების, შემდგომი შემჭიდროებისათვის.

გარდა ამისა პლენუმმა განიხილა საკითხი კომბაინებისა და კომბაინერების შესახებ. კომბაინი ძალიან რთული და შესანიშნავი მანქანაა. ურომლისოდაც ჩვენ გვიძნელდება თავი გავართვათ დიდ სათეს ფართობს. აი ამიტომ ჩვენ ახლა ვაწესებთ შტატიან კომბაინერებს, რომლებიც მტს-ში მიიღებენ მუდმივ სამუშაო ხელფასს. ეს უზრუნველყოფს კომბაინების მიერ სათანადო გამომუშავების ნორმების შესრულებას და გამოისყიდის თავის თავს.

მეცხოველეობის საკითხები ირჩეოდა ცენტრალური კომიტეტის გასულ, ივლისის პლენუმზე. ნოემბრის პლენუმმა მოისმინა 1935 წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ცალკე თვითეული ოლქის მიხედვით. ეს გეგმა ითვალისწინებს ჯოგის, განსაკუთრებით ახალგაზრდა პირუტყვის საგრძნობ ზრდას ყველა ოლქში და რესპუბლიკაში. ამ წლის ზამთარი გადამწყვეტია პირუტყვის სულადობის შესანარჩუნებლად და ახალგაზრდა პირუტყვის გამოსაზრდელად და ჩვენ, მოსკოველებს, ამაზე დიდი მუშაობა მოგვიხდება.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე დგას საკითხი მასობრივ საზამთრო მუშაობის შესახებ სოფლად. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეურნეობის აღმავლობა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ძლიერების განმტკიცება პირველ ყოვლისა წყდება ცოცხალი ადამიანების ორგანიზაციით, წყდება პოლიტიკური მუშაობით.

ეს შეეხება ქალაქსაც ჩვენ პოლიტიკური მუშაობა მასებში პარტიული ორგანიზაციების [illegible] უნდა ავსწიოთ გაცილებით უფრო მაღალ იდეურ და პოლიტიკურ დონეზე, ვიდრე ეს დღემდე იყო.

ამხანაგი სტალინი არა ერთხელ უსვამდა ხაზს, რომ ბევრ ჩვენს პარტიულ მუშაკს არ ესმის ნამდვილი ორგანიზატორულ-ბოლშევიკური, მუშაობის შინაარსი, სცვლის რა მას მხოლოდ მოხსენებებით, შეკრებებით, რეზოლუციებით. ნამდვილი ორგანიზატორულ - პოლიტიკური მუშაობა ამით ვერ განისაზღვრება. საჭიროა კარგად ვიცნობდეთ პარტიულ და უპარტიო აქტივს. ვაწარმოებდეთ თვითეულთან მუშაობას ინდივიდუალურად. არ უნდა ვიფალებოდეთ კანცელარიებში, არამედ პირდაპირ მივიდეთ ცოცხალ საქმესთან, ცოცხალ ადამიანთან. ასე უნდა მოვაწესრიგოთ მუშაობა სოფლადაც და ქალაქადაც.

ჩვენ იმას მოვითხოვთ, რომ ყოველმხრივ ავამაღლოთ მასები ფართო კრებებზე, და ჩვენ ამავე დროს მოვითხოვთ, რათა პარტიული ორგანიზატორი ქარხანაში, სოფლად, კოლმეურნეობაში პირადად იცნობდეს ადამიანებს, რომ ის მათთან იყოს დაკავშირებული, ესაუბრებოდეს მათ, ყოველთვის კონკრეტულად უპასუხებდეს მუშისა და კოლმეურნის მოთხოვნებს.

მოვსპოთ ძირიან-ფესვიანად კლასობრივი მტრების ნაშთები

კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის ირგვლივ

ამხანაგებო! ჩვენ გვაქვს უდიდესი პოლიტიკური მიღწევები, გიგანტური სამეურნეო წარმატებები მთელს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში. ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმი იყო ჩვენ მიერ განვლილი გზის მთელი სიდიადის ბრწყინვალე და მკაფიო მაჩვენებელი. ჩამორჩენილი, სუსტი, ნახევრად ველური რუსეთი ჩვენმა პარტიამ და მუშათა კლასმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გადააქცია დიად, კულტურულ, მძლავრ სოციალისტურ ქვეყნად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჯამი გაუკეთა ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკას სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში. ჩვენ განვიხილეთ პოლიტიკური შედეგები ჩვენი ბრძოლისა გლეხობის მრავალმილიონიან მასებზე ხელმძღვანელობისათვის, მასებზე, რომელნიც პარტიამ თან გაიყოლია, გაიყოლია მტკიცედ და დაუბრუნებლად.

ჩვენ სწრაფად მივდივართ წინ. ქვეყანა დიდი აღმავლობის გზით მიდის. მტრები გამალებით ძირს ეშვებიან,—მაგრამ რაც უფრო მეტია მანძილი ჩვენს აღმავლობასა და მტრების ძირს დაქანებას შორის, მით უფრო მეტი ველური უილაჯო მტრობას იჩენენ ეს კლასობრივი მტრები. ამიტომ ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ მთელი კლასობრივი სიფხიზლე.

სიფხიზლე მოითხოვს არა მარტო გვახსოვდეს მტერი. სიფხიზლე მოითხოვს, რომ ჩვენ გავაათკეცოთ ჩვენი ბრძოლა, რომ გავაათკეცოთ ჩვენი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, სიფხიზლე მოითხოვს, რომ ჩვენ ყველგან შევმუსროთ მტერი, ბოლომდე ამოვფხვრათ მისი ნაშთები.

მძიმე დანაკლისი, რომელიც პარტიამ 15 დღის წინათ განიცადა, გვიჩვენებს, რომ კლასობრივ მტერს იარაღი არ დაუყრია. ეს მტერი ძვრება ჩვენს საკუთარ რიგებშიც. განადგურებული, იდეურ-პოლიტიკურად გასრესილი, უკუგდებული [illegible] მასების მიერ, რომელნიც აჰყვნენ ჩვენი ცენტრალურ კომიტეტს და რომელთაც გაიმარჯვეს,— ეს მტერი, ახდენს რა თავის უძლურების დემონსტრაციას, მხეცურად გაბოროტებული ტერორისტულ აქტებს მიმართავს.

ჩვენ ვიცნობთ ამხანაგ კიროვს არა მარტო როგორც მგზნებარე სახალხო ტრიბუნს, უშიშარ მებრძოლს, სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე გამარჯვებათა ნიჭიერ ორგანიზატორს. ჩვენ ვიცნობთ კიროვს სიდამპლეზე, ზინოვიევის საძაგელ, საზიზღარ ანტი-საბჭოთა ოპოზიციაზე გამარჯვებათა ორგანიზატორს (მქუხარე ტაში).

სწორედ ამიტომ მოკლეს ამხ. კიროვი ზინოვიევის ანტიპარტიული ჯგუფის საზიზღარმა კონტრრევოლუციურმა ნაძირალებმა. აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაში განადგურებულებმა, უძლურებმა და გაბოროტებულებმა, მათ მიმართეს უკანასკნელ თეთრბანდიტურ ფაშისტურ საშუალებას — ინდივიდუალურ ტერორს.

ამხანაგ კიროვის მკვლელობის გამოძიება ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის. მაგრამ უკვე ზუსტად გამორკვეულია: ზინოვიევის ყოფილი ოპოზიციის წევრებისაგან ტერორისტული, კონტრრევოლუციური არალეგალური „ლენინგრადის ცენტრის" არსებობა. ამ ცენტრის პირდაპირი დავალებით მკვლელმა ნიკოლაევმა — ამ ცენტრის ერთერთმა წევრმა. ჩაიდინა თავისი საძაგელი საქმე!

პროლეტარული დიქტატურის წარმატებათა გამო მხეცურად გაბოროტებული, საზიზღარი [illegible] ოცნებობდნენ ინდუსტრიალიზაციის შეკვეცას და მთელი სოციალისტური მშენებლობის ჩაშლას, მათ, ზინოვიევის ანტი-საბჭოთა პლატფორმაზე გაერთიანებულებმა, შეასრულეს კლასობრივი მტრის საქმე.

ზინოვიევის ჯგუფის მრავალი წლის ანტი-პარტიული, პროვოკატორული, ანტი-საბჭოთა „მუშაობა" დამთავრდა იმით, რომ მათმა ნაძირალებმა ვერაგულად ლაჩრულად, ჩასაფრებით ესროლეს ზურგში ტყვია ჩვენს ძვირფას ამხანაგ კიროვს, პროლეტარიატის და პარტიის საყვარელ ბელადს, მგზნებარე სახალხო ტრიბუნს, მტკიცე ბოლშევიკს. ზინოვიეველთა ნაბოლარების სრულიად უმნიშვნელო, კარიკატურულ ჯგუფს, რომელმაც მასების მხრივ მხარდაჭერის ყოველგვარი იმედი დაკარგა, თავისი გასროლით სურდა არევდარევა შეეტანა პროლეტარიატის რიგებში, შეერყია ჩვენი პარტიის ძლიერება, შეეჩერებია ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლა სოციალიზმისაკენ, უკან მოებრუნებია ისტორიის ბორბალი.

ამაო და [illegible] ეს ცდები! ბოლშევიკებს ვერ შეაშინებს დიდი სამშობლოს პროლეტარიატის და მშრომელების მილიონიანი მასები თავისი საყვარელი კიროვის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო მედგრად იბრძვიან და მუშაობენ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, კიდევ უფრო გადაჭრით ეწევიან გაშლილ სოციალისტური შეტევას კიდევ უფრო დაუზოგავად უსწორდებიან კლასობრივი მტრების საძაგელ ნაშთებს. მთელი ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა პარტიის გარშემო, საყვარელი სტალინის გარშემო, იმის გარშემო, ვინც აწარმოებდა და აწარმოებს დიად ბრძოლას ლენინიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ, ვინც ყოველდღე ყოველსათვის ასწავლის პარტიას ხელოვნებას ჩანასახშივე გამოიცნოს მტერი და დაუზოგავად, ბოლომდე მოსპოს იგი, ვინც უზრუნველყო ბოლშევიკური რიგების გამარჯვება და ფოლადისებური ერთიანობა (მქუხარე ტაში! ყველანი ფეხზე დგებიან და ტაშს უკრავენ, გაისმის „ურა", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!").

ჩვენი პარტია ყოველთვის იყო ძლიერი თავისი მონოლიტობით, თავისი სიმტკიცით, თავისი ერთგულებით ლენინური გზისადმი. და კიროვის საუკეთესო ძეგლია მთელი ლენინური პარტიის იდეური დარაზმულობა ჩვენი სტალინური, ცენტრალური კომიტეტის გარშემო (ტაში).

დღეს, ვაჯამებთ რა ც. კ-ის პლენუმის შედეგებს, მწუხარებით აღვნიშნავთ რა იმ დანაკლისს, რომელსაც ვერავითარი სიტყვით ვერ გამოვხატავთ, ჩვენ ერთხელ კიდევ ვიტყვით:

მტრის წინააღმდეგ! იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს არევდარევა შეიტანოს ჩვენს რიგებში!

დარაზმულობისათვის, ბოლშევიკური ბრძოლისათვის, სიფხიზლისათვის!

ც. კ-ის ხელმძღვანელობით, სტალინის ხელმძღვანელობით ახალი დიდი გამარჯვებებისაკენ!

(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან და გაიძახიან: „გაუმარჯოს სტალინს!" „ურა").

დნეპროპეტროვსკის საქალაქო კომიტეტის დამპალი ლიბერალიზმის და რევოლუციური სიფხიზლის შესახებ

„პრავდა"-ს მოწინავე 25 XII

უკანასკნელი დროის განმავლობაში ჩვენ დიდი ყურადღების მიქცევა დაგვჭირდა დნეპროპეტროვსკის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის. საქმე ეხებოდა დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოკალათებული ტროცკისტებს და ნაციონალ-უკლონისტებს და საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობის ანტიპარტიულ საქციელს. ლაპარაკი იყო აგრეთვე ამ საქმეში პარტიის საოლქო კომიტეტის მერყევი, არასრული პოზიციის შესახებ. საჭირო შეიქნა უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევა საქმეში, რათა აღკვეთილი ყოფილიყო საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელების, განსაკუთრებით მისი გათავხედებული მდივნის — ლევიტინის, ბოლშევიკებისათვის შეუფერებელი საქციელი, აგრეთვე ბოლო მოღებოდა პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მერყეობას.

თავის 22 დეკემბრის დადგენილებაში უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „უკრაინის კ.პ. (ბ) დნეპროპეტროვსკის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და, განსაკუთრებით საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლევიტინმა. მიუხედავად „პრავდას" მიერ არა ერთხელ მიცემული სრულიად სწორი და მთლიანად დადასტურებული სიგნალისა, დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტის ნაციონალისტურ და ტროცკისტულ ელემენტებით დანაგვიანების შესახებ, — არამცთუ არ მიიღო საჭირო ზომები მათ გამოსამჟღავნებლად და გასანადგურებლად, არამედ იგი თავისი შემდგომი მოქმედებით დაადგა აღნიშნული ელემენტების აშკარად დაცვის გზას". საოლქო კომიტეტის პოზიცია დახასიათებულია, როგორც არასწორი, რომელიც არსებითად ჩქმალავს საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობის და მისი მდივნის ლევიტინის უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს და დამპალ ლიბერალიზმს. საოლქო კომიტეტის პოზიცია გადაჭრით იქნა დაგმობილი, ხოლო საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა (ლევიტინი, სკრიპნიკი, გეხტმანი), მოხსნილია სამუშაოდან. მოხსნილია აგრეთვე სამუშაოდან საოლქო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე სეგალოვიჩი, რომელმაც არ მიიღო საჭირო ზომები უნივერსიტეტის ნაციონალისტური და ტროცკისტული ელემენტებით დანაგვიანების წინააღმდეგ და გამოიჩინა მათდამი დამპალი ლიბერალიზმი.

მკაცრი დაგმობის ღირსი არიან დნეპროპეტროვსკის გაზეთები. „ზორის" რედაქტორს ნიკიტოვს, რომელიც ყოველგვარ დახმარებას უწევდა საქალაქო კომიტეტის გაკოტრებულ ხელმძღვანელებს, შეცდომაში შეყავდა პარტიული მასები. არაბოლშევიკურად იქცეოდა „უდარნი ტრანსპორტას" რედაქტორი ჩეპურნიაკი, რომელიც უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგაც კი განაგრძობდა საქალაქო კომიტეტის დამპალი შემარიგებლური ხაზის დაცვას

დნეპროპეტროვსკის პარტიული ორგანიზაციების შეცდომები იმდენად მნიშვნელოვანი, იმდენად საგულისხმოა, რომ მათგან საჭირო დასკვნები უნდა გამოიყვანოს ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ.

კიდევ და კიდევ დასტურდება აბსოლუტური სისწორე ამხანაგ სტალინის მითითებებისა, რომლებიც მან მოგვცა თავის მოხსენებაში პარტიის მე-17 ყრილობაზე, იმის შესახებ, რომ საჭიროა ლენინიზმისათვის უცხო, მტრული იდეოლოგიის სისტემატიურად გამომჟღავნება. პარტიის მტრები, ყოველგვარი ოპორტუნისტები და ნაციონალ-უკლონისტები სასტიკად დამარცხდნენ, მაგრამ მათი ნაშთები ჯერ კიდევ არსებობენ. აშკარა ბრძოლაში განადგურებულნი, ყოფილი ანტიპარტიული ჯგუფების ნამსხვრევები, რომლებიც ვერავითარ დახმარებას ვერ პოულობენ მასებში, ეძებენ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებს, ახალ საშუალებებს. თავისი მიზნების მისაღწევად კონტრ - რევოლუციონერები, ტროცკისტები, ნაციონალ-უკლონისტები და ყველა ჯურის ოპორტუნისტები სდებენ ურთიერთ კომპრომისებს, კრავენ ბლოკს.

სურთ რა დაიმალონ პარტიულ თვალს, მასებს, ისინი იწყობიან სოციალისტური მშენებლობის შეუმჩნეველ უბნებზე, თვალთმაქცობენ და აწარმოებენ დამანგრეველ მუშაობას. ასე იყო კერძოდ დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

მთავარი გეზი აღებულია ახალგაზრდობისაკენ. სწორედ ამიტომაა, რომ ახლა სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება სკოლის აუდიტორიის წინაში, უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ტროცკისტულ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური ქადაგებათა ფაქტები. საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე. რომ თავის დროზე აღმოჩენილ და აღკვეთილ იქნას კლასობრივი მტრის საზიზღარი მუშაობა.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია არ უწევს ანგარიშს პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების ახალ ტაქტიკას ამით თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იგივე დნეპროპეტროვსკის საქალაქო კომიტეტი, რომელსაც იმდენად მოდუნებია სიფხიზლე მტრებისადმი, რომ არსებითად მოხვდა ერთმანეთში შეთანხმებულ ტროცკისტებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების უმნიშვნელო ჯგუფის ტყვეობაში.

სამწუხაროდ დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტი გამონაკლისს როდი შეადგენს, ნოემბერში ჩვენ ვწერდით კურსკის უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებლის ლადიჟენსკის ტროცკისტული გამოსვლების შესახებ. ჯერ კიდევ გუშინწინ ვაქვეყნებდით ჩვენ ცნობებს როსტოვის უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებლის ვლადიმიროვის ტროცკისტული ლექციების შესახებ. ორივე შემთხვევაში დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არამცთუ დროზე ვერ ალაგმეს კონტრრევოლუციური „ავიტპროპები", არამედ ისინი დიდხანს უყურადღებოდ სტოვებდნენ სტუდენტების სიგნალებს.

მტერს არ დაუყრია თავისი იარაღი. ამხანაგ კიროვის ვერაგული მკვლელობა წარმოადგენს სიგნალს უდარდელობის და უზრუნველობის წინააღმდეგ. რაც უფრო ძლევამოსილია სოციალიზმის მშენებლობა, რაც უფრო ვიწროვდება ბაზა საბჭოთა წყობილების ძირის გამოსათხრელად, რაც უფრო უიმედოა კლასობრივი მტრების და მათი აგენტურის მდგომარეობა, მით უფრო ავანტურისტულია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი ბრძოლის მეთოდები. ისინი თავისი მიზნებისათვის იყენებენ ჩვენს მცირეოდენ ნაკლოვანებებს და შეცდომებსაც კი, იმ უკაცრავად პასუხია კომუნისტების ზედმეტ გულახდილობას და ლაყბობას, რომლებიც, სულელის მსგავსად, მტრებზე უფრო საშიში არიან.

და ხელსაყრელი ნიადაგი მავნებლური მუშაობისათვის პირველ რიგში იქმნება იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, კომკავშირელები ოდნავ, თუნდაც ერთი წუთით კარგავენ ან ასუსტებენ თავის სიფხიზლეს, თავის უნარს გამოიცნონ და გამოამჟღავნონ ტროცკისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენე ოპორტუნისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

„უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, —ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ საბჭოთა სახელმწიფოს სიძლიერის ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ ძველი კონტრ-რევოლუციური პარტიების — ესერების, მენშევიკების, ცენტრის და განაპირა რაიონების ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ კონტრ - რევოლუციურ ოპოზიციურ ელემენტთა ნამსხვრევები ტროცკისტების და მემარჯვენე უკლონისტების წრიდან. ეს, რასაკვირველია, არ არის საშიში. მაგრამ ყოველივე ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, თუ ჩვენ გვინდა, რომ სწრაფად და მაინცდამაინც დიდი მსხვერპლის გაუღებლად მოვუღოთ ბოლო ამ ელემენტებს.

ამიტომაა, რომ რევოლუციური სიფხიზლე წარმოადგენს ისეთ თვისებას, რომელიც ახლა განსაკუთრებით ესაჭიროება ბოლშევიკებს".

ლენინ-სტალინის პარტია იბრძმედებოდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა პროლეტარული რევოლუციის მტრებთან [illegible] ბრძოლებში, ყველა ჯურის და ელფერის ოპორტუნისტებთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა გრძელდება. პარტია მოელის არა რეზოლუციებს და დეკლარაციებს სიფხიზლის შესახებ, არამედ კონკრეტულ ბოლშევიკურ საქმეებს ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და სამადნოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დაწესებულებებსა და სკოლებში — დიადი მშენებლობის ყველა უბანზე.

რევოლუციური სიფხიზლე პრაქტიკულად, დაუნდობელი შეურიგებლობა მტრებისადმი. კადრების ზუსტად შერჩევა: იდეური მუშაობის მაღალი ხარისხი, პარტიული და კომკავშირული მასების ყოველდღიური აღზრდა — აი რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენ თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ პარტიულ ხელმძღვანელს.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ამხ. პოტიომკინმა გადასცა რწმუნების სიგელები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ—ნ ლებრენს

პარიზი, 24 დეკემბერი. დღეს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. პოტიომკინი მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ლებრენმა, რომელსაც მან გადასცა თავისი რწმუნების სიგელები, ამხ. პოტიომკინმა რესპუბლიკის პრეზიდენტს მიმართა შემდეგი სიტყვით:

ამხ. პოტიომკინის სიტყვა

„გადმოგცემთ რა თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, აყვავების გულწრფელ სურვილებს, რომლითაც სსრ კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს საფრანგეთს და მოგმართავს პირადად თქვენ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე განზრახვა მაქვს განუხრელად მივდიო ჩემი წინამოადგილის დოვგალევსკის გზას, რომლის დაუღალავმა და თავგამოდებულ ღონისძიებებმა საგრძნობლად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნების დაახლოებას. თავისი პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ერთგული — საბჭოთა კავშირი საფრანგეთთან მეგობრული და ნდობით აღსავსე ურთიერთობის განვითარებაში ხედავს მშვიდობიანობის დაცვის და გამტკიცების ერთერთ უაღრესად საიმედო საწინდარს. მე განსაკუთრებით მოხარული ვარ იმიტომ, რომ ჩემი მოღვაწეობა, როგორც საბჭოთა კავშირის ელჩისა საფრანგეთში, შეიძლება განვითარდეს ურთიერთი ნდობის ატმოსფეროში, რაც ამ ცოტა ხნის წინათ აღინიშნა ხელისმოწერით ორ დიდ აქტზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას. მთლიანად მოვანდომებ რა ჩემს მოღვაწეობას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ურთიერთობის განმტკიცება ემსახურება ორივე ქვეყნის და, მაშასადამე საყოველთაო მშვიდობიანობის მაღალ ინტერესებს. ნება მომეცით, ბატონო პრეზიდენტო, გამოვთქვა იმედი, რომ შევხვდები თქვენს დახმარებას და ნდობას ჩემზე დაკისრებული მაღალი მისიის შესრულების დროს".

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხ. პოტიომკინს მიმართა შემდეგი საპასუხო სიტყვით:

ბატონ ლებრენის სიტყვა

„ბატონო ელჩო, მადლობას გიცხადებთ იმ სიტყვისათვის, რომელიც წარმოსთქვით ჩემთვის სიგელების გადმოცემისას, რომელთა მეშვეობით საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თქვენ მოგავლინათ ჩემთან როგორც საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემი ქვეყნის მიმართ თქვენ მიერ გამოთქმულმა სურვილებმა და იმ გრძნობებმა, რომლებიც თქვენ გამოხატეთ, როცა იკისრეთ მაღალი მისია, რომლისთვისაც თქვენ მოწოდებული ხართ. თქვენი პირადი მეცნიერული მომზადების, აგრეთვე დიპლომატიური გამოცდილების მეოხებით, ამ მისიის შესასრულებლად უკვე უზრუნველყოფილია უაღრესად ხელსაყრელი პირობები იმ მომენტში, როცა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული და ნდობით აღსავსე ურთიერთობა ფრიად საბედნიეროდ ვითარდება. მე მივულოცავ ჩემს თავს, რომ თქვენი მისია იწყება მაშინ, როცა ორივე მთავრობამ ამ ცოტა ხნის წინათ ხელმოწერილი აქტების შემწეობით ესოდენ მკაფიოდ გამოხატეს თავისი სურვილი გაადიდონ თავისი საქონელ-ცვლა, ისევე როგორც სურვილი — ითანამშრომლონ ყველა ხალხის საკეთილდღეოდ მშვიდობიანობის შენარჩუნების და გამტკიცების საქმეში, თქვენ გაგვახსენეთ, ბატონო ელჩო, ის დიდი მუშაობა, რომელიც ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩაატარა თქვენმა ცნობილმა წინამოადგილემ, ბატონმა დოვგალევსკიმ, რომლის ნაადრევმა გარდაცვალებამ აქ ღრმა გამოხმაურება ჰპოვა, დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთი თქვენში იპოვის ასეთსავე ზრუნვას ჩვენი ღონისძიებების შეთანხმებისათვის.

გამოვთქვამ რა საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით საბჭოთა კავშირის აყვავების სურვილებს, გარწმუნებთ, ბატონო ელჩო, რომ მთავრობა თქვენ დიდად შეგიწყობთ ხელს თქვენი მაღალი მისიის შესრულებაში".

სიტყვების შემდეგ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინა საელჩოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შემადგენლობა.

შემდეგ სრულუფლებიან წარმომადგენელს პრეზიდენტთან ჰქონდა ხანგრძლივი კერძო აუდიენცია, რომელსაც დაესწრო საგარეო საქმეთა მინისტრი ლავალი. (ტას).

საბრალმდებლო დასკვნა

ლ. ვ. ნიკოლაევის, ი. ი. კოტოლინოვის, ნ. პ. მიასნიკოვის, ნ. ნ. შატსკის, ს. ო. მანდელშტამის, გ. ვ. სოკოლოვის, ვ. ი. ზვეზდოვის, ი. გ. იუსკინის, ვ. ვ. რუმიანცევის, ნ. ს. ანტონოვის, ლ. ო. ხანიკის, ლ. ი. ტოლმაზოვის, ვ. ს. ლევინის და ლ. ი. სოსიცკის საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ რ. ს. ფ. ს. რ-ის სისხლის სამართლის 58-8 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულნი

1934 წლის 1-ლ დეკემბერს, 16 საათსა და 30 წუთზე, ქ. ლენინგრადში, სმოლნში, რევოლვერით მოკლულ იქნა ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ლენინგრადის კომიტეტების წევრი ამხ. სერგეი მირონისძე კიროვი.

დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაკავებული მკვლელი აღმოჩნდა ლეონიდე ვასილისძე ნიკოლაევი, ოცდაათი წლის, მოსამსახურე, გამორიცხული 1934 წლის მარტში საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის, მაგრამ შემდეგ აღდგენილი პარტიის წევრის უფლებებში, მის მიერ მონანიების შესახებ განცხადების შემოტანის გამო.

ამ საქმეზე მოხდენილი კვლევაძიებით გამოირკვა, რომ ლ. ვ. ნიკოლაევი იყო წევრი კონტრრევოლუციური ტერორისტული არალეგალური ჯგუფისა, რომელიც შეიქმნა ლენინგრადში ზინოვიევის ყოფილი ანტი-საბჭოთა ჯგუფის მონაწილეთა რიცხვიდან, და რომ ამხ. ს. მ. კიროვის მოკვლა ლ. ვ. ნიკოლაევის მიერ ჩადენილ იქნა ტერორისტული არალეგალური „ლენინგრადის ცენტრის“ დავალებით.

კონტრრევოლუციური ტერორისტული არალეგალური ჯგუფის ჩამოყალიბება ქ. ლენინგრადში

გამოძიებით გამოირკვა, რომ, მიუხედავად ზინოვიევის ყოფილი ანტი-საბჭოთა ჯგუფის კაპიტულაციისა, ამ ბლოკის ყველაზე უფრო აქტიური მონაწილეების არალეგალური მუშაობა არ შეწყვეტილა და გრძელდებოდა სულ ბოლო დრომდე.

ეს საქმიანობა განსაკუთრებით აქტიური გახდა 1933-1934 წლებში, როცა ქ. ლენინგრადში ზინოვიევის ჯგუფის ყოფილ მონაწილეთა რიცხვიდან მოეწყო არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული, ჯგუფი ეგრეთწოდებული „ლენინგრადის ცენტრის“ მეთაურობით.

ამ ჯგუფის წარმოშობის და ორგანიზაციული ჩამოყალიბების გამო ბრალდებულმა ზვეზდოვმა გვიჩვენა:

„...ჩვენი ჯგუფის ორგანიზაციული ჩამოყალიბება ხდებოდა თანდათანობით, ამასთან ძირითადი ორგანიზატორების როლში გამოდიოდენ ვლადიმერ რუმიანცევი და ივანე კოტოლინოვი...“
(ტ. პირველი, საქმე 196 ფურც.)

ბრალდებულმა გ. ვ. სოკოლოვმაც თავის ა.-წ. 7, 9 და 12 დეკემბრის ჩვენებებში დაადასტურა ეს გარემოებანი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ:

„...დაწყებული 1934 წლის შემოდგომიდან ჯგუფის წევრები იწყებენ თავის დაკავშირების აქტივიზაციის გაძლიერებას, ამყარებენ ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კონტრაქტს“.

ჯგუფი არსებითად გაერთიანდა ზინოვიევის ძველი პლათფორმის საფუძველზე (ტომი 1-ლი, საქმე ფურც. 249).

ამ კონტრრევოლუციური არალეგალური ტერორისტული ჯგუფის ორგანიზაციული ჩამოყალიბების კიდევ უფრო სრულ სურათს იძლევა თავის ჩვენებებში ბრალდებული ლ. ო. ხანიკი, რომელმაც დაადასტურა, რომ იგი.

„...მართლაც შედიოდა ამ ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც, როგორც მამ ითქვა, შეიქმნა ტროცკი-ზინოვიევის ყოფილი ბლოკის ბაზაზე....

„ჩვენი ორგანიზაცია საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1933 წელს..,“ (ტომი მე-2, საქმე ფურც. 33).

როგორც კვლევა-ძიებით დადასტურდა, ამ ჯგუფის სათავეში იდგა არალეგალური ტერორისტული „ლენინგრადის ცენტრი“ რომელშიაც შედიოდენ: ი. ი. კოტოლინოვი, ნ. ნ. შატსკი, ვ.ვ. რუმიანცევი, ს. ო. მანდელშტამი, ნ. კ. მიასნიკოვი, ვ. ს. ლევინი, ლ. ი. სოსიცკი და ლ. ვ. ნიკოლაევი—ყველა ზინოვიევის ოპოზიციის ყოფილი წევრები.

ეს დასტურდება როგორც თვით ამ ცენტრის წევრთა ჩვენებებით, ისე ლენინგრადის არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფის სხვა მონაწილეთა ჩვენებებითაც.

მაგალითად, ბრალდებულმა ვ. ვ. რუმიანცევმა აჩვენა:

„ ვლადიმერ ლევინი, მე—რუმიანცევი, სერგეი მანდელშტამი, ივანე კოტოლინოვი. ნიკოლოზ მიასნიკოვი და ლევ სოსიცკი შევდიოდით ზინოვიეველთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ლენინგრადის ცენტრის შემადგენლობაში...

ცენტრის წევრები კონსპირაციის მიზნით, ძალიან იშვიათად ვიკრიბებოდით ერთად, ჩვეულებრივ კი კავშირი დამყარებული გვქონდა პერსონალურად ცენტრის ცალკეულ წევრებს შორის...
(ტომი მეორე, საქმე მესამე)

ამავე საკითხზე ბრალდებულმა ს. ო. მანდელშტამმა აჩვენა:

„... ამავე პერიოდს ეკუთვნის ჩვენი ორგანიზაციის ლენინგრადის ცენტრის ჩამოყალიბება ჩემი—მანდელშტამის, ვლადიმერ რუმიანცევის, ვლადიმერ ლევინის, სოსიცკის შემადგენლობით, რაც ამავე სახით არსებობს დღემდეც“
(ტომი მეორე, ფურცელი 250)

ბრალდებულმა მიასნიკოვმა, რომელიც დაკითხულ იქნა „ლენინგრადის ცენტრის“ შემადგენლობის შესახებ აჩვენა, რომ ამ ცენტრში შედიოდენ: ვ. ს. ლევინი, ვ. ვ. რუმიანცევი, ი. ი. კოტოლინოვი, სოსიცკი და თვითონ იგი. (ტომი მეორე, საქმე ფურც. 108).

ამავე ჩვენებაში მიასნიკოვმა განაცხადა, თუ როგორ იყო განაწილებული ფუნქციები ამ ცენტრის ცალკეულ წევრებ შორის.

იმას, რომ ზინოვიეველთა არალეგალურ ანტისაბჭოთა ჯგუფში ხელმძღვანელ როლს ასრულებდენ რუმიანცევი, ლევინი და კოტოლინოვი, ადასტურებს აგრეთვე ბრალდებული ხანიკი. (ტომი მეორე, საქმე ფურც. 33—34).

არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფის ამავე „ლენინგრადის ცენტრს“ ეკუთვნოდა ამხ. ს. მ. კიროვის მკვლელი—ლ. ვ. ნიკოლაევიც.

ამ ჯგუფში ბრალდებულ ნიკოლაევის მონაწილეობის შესახებ ბრალდებულმა ზვეზდოვმა აჩვენა:

„... იგი (ე. ი. ლეონიდე ნიკოლაევი) დაკავშირებული იყო ჩვენთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში, 1924 წლიდან. ერთ დროს იგი მუშაობდა კოტოლინოვის უშუალო ხელმძღვანელობით, როცა ეს უკანასკნელი იყო საკ. ა.ლ.კ.კ ვიბორგის რაიკომის მდივნად, ნიკოლაევი აღიზარდა ჩვენთან, იკვებებოდა ჩვენი ჯგუფის იდეური საზრდოთი, მან უსათუოდ შეითვისა პარტიის და პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ჩვენი ფრაქციული ბრძოლის მთელი გამოცდილება.

ნიკოლაევის შესახებ საჭიროა კიდევ ითქვას, რომ იგი ეკუთვნის კარიკატიულ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ამავე დროს მზად არიან გადამწყვეტი მოქმედებისათვის...“
(ტომი პირველი, საქმე, ფურ. 199)

არალეგალურ კონტრრევოლუციურ ჯგუფში ნიკოლაევის მონაწილეობის შესახებ, ყოფილ ზინოვიეველთა რიცხვიდან, აჩვენეს აგრეთვე ბრალდებულებმა სოკოლოვმა, ანტონოვმა, კოტოლინოვმა, ხანიკმა, იუსკინმა და შატსკიმ.

თვით ლ. ვ. ნიკოლაევმა ა. წ. 13 დეკემბრის ჩვენებებში დაადასტურა, რომ შედიოდა ყოფილ ოპოზიციონერთა—კოტოლინოვის, შატსკის, იუსკინის და სხვ. ჯგუფის შემადგენლობაში, რომლებიც ეწეოდენ კონტრრევოლუციურ მუშაობას, ამასთან დასძინა:

„...ჯგუფის მონაწილეები იდგნენ ზინოვიევ-ტროცკის პლათფორმაზე. ისინი საჭიროდ სთვლიდენ არსებული პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლას ყველა შესაძლო საშუალებებით...“
(ტომი პირველი, საქმე, ფურც. 266)

როგორც კვლევა-ძიებით დადასტურდა, არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა სასტიკი კონსპირაციის პირობებში. აღნიშნული ჯგუფის შიგნით ურთიერთობათა სასტიკი კონსპირაციული ხასიათის შესახებ ლაპარაკობენ ამ ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრები, რომლებიც მიცემული არიან პასუხისგებაში როგორც ბრალდებულნი ამ საქმის გამო. კერძოდ ბრალდებულმა ხანიკმა აჩვენა:

„კონსპირაციის მოსაზრებით ცნობები ორგანიზაციის საორგანიზაციო აღნაგობის შესახებ მოეპოებოდათ მხოლოდ ცენტრის წევრებს. მაგრამ რუმიანცევის სიტყვიდან მე ვიცი, რომ ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა მთელი რიგი რგოლები, რომლებიც მოთავსებული იყო ახალგაზრდობის კონცენტრაციის ადგილებში....“ (ტ. მე-2, საქმის ფურცელი 35).

არალეგალური კონტრრევოლუციური ჯგუფის კონსპირაციულობის შესახებ თავის ჩვენებებში ლაპარაკობს ბრალდებული მიასნიკოვიც, რომელიც წარმოადგენს ლენინგრადის ჯგუფის ერთერთ ხელმძღვანელს და, რომლის ჩვენებით ამ ჯგუფის ერთერთი მონაწილის ბინაზე აღმოჩენილ იქნა ზინოვიევ-ტროცკისტული ოპოზიციის მთელი არქივი.

კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფის მიზნები და მეთოდები

წინასწარი გამოძიებით დადასტურებულია. რომ არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფის ძირითადი ამოცანა იყო საბჭოთა მთავრობის დეზორგანიზაციის მოხდენა ტერორისტული აქტების საშუალებით. რომელნიც მიმართული უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რათა ამ გზით შეეცვალათ ახლანდელი პოლიტიკა ეგრეთწოდებულ ზინოვიევ-ტროცკისტული პლატფორმის მიხედვით.

მისი მონაწილენი, რომელთაც დაჰკარგეს მასების მხარის დაჭერის ყოველგვარი იმედი და. რომელნიც წარმოადგენდენ კარიკატიულ და პოლიტიკურად განწირულ ანტი-საბჭოთა ჯგუფს, თავიანთი მიზნების განხორციელების უიმედობის გამო დაადგნენ პირდაპირ ტერორის გზას.

ბრალდებულმა ხანიკმა, ამ ჯგუფის ერთმა აქტიურმა წევრთაგანმა როცა ახასიათებდა ამ ჯგუფის „იდეურ პოლიტიკურ გეზს, აღიარა რომ, ეს გეზი გამომდინარეობდა „ზინოვიევ-ტროცკისტული ბლოკის პლატფორმიდან და მიზნად ისახავდა არსებული პარტიული ხელმძღვანელობის ავტორიტეტის დაცემას და ამ ხელმძღვანელობის შეცვლას ჩვენი ორგანიზაციის ბელადებით—ზინოვიევით, კამენევით და სხვებით, რომლებიც მომხრე იყვნენ შეცვლილიყო პარტიული კურსი, რომელიც ახლა ტარდება“. (ტ. მე-2 საქმე, ფურცელი. 85).

ბრალდებულმა ხანიკმა შემდეგ აჩვენა.

„...ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელები მუდამ აღნიშნავდენ, რომ მთელს ბოროტებას შეადგენს პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობა სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი და კიროვი ამასთან დაკავშირებით ჩვენი ორგანიზაციის ბელადები ჩვენ, განსაკუთრებით ეგრეთწოდებულ ახალგაზრდობას, გვინერგავდენ აზრებს, რომ ქვეყანაში სიძნელეები არ მოისპობა (მიღწევები ანგარიშში არ იყო მიღებული) მანამდე, სანამ ახლანდელი ხელმძღვანელობა იქნება პარტიის სათავეში.

აქიდან, ამ კონტრრევოლუციურ დახასიათებიდან და შეხედულებებიდან შესაძლებელი გახდა ის ტერორისტული აქტი, რომელიც ჩაიდინა კიროვის წინააღმდეგ ჩვენი ორგანიზაციის წევრმა ლეონიდე ნიკოლაევმა“.
(ტომი. მე-2 საქმის ფ. 86).

ასევე ახასიათებს ამ ჯგუფში გამეფებულ განწყობილებას ბრალდებული რუმიანცევიც. რომელიც—მეორე ბრალდებულის ტოლმაზოვის დახასიათებით,—„იყო მოქმედების ტერორისტული მეთოდების ყველაზე უფრო აშკარა მომხრე“.

ბრალდებულმა რუმიანცევმა აღიარა, რომ.

„საკ. კ.პ. (ბ) ხელმძღვანელობისადმი მწვავე სიძულვილის ასე გახურებულ ატმოსფეროში არ შეიძლებოდა არ გაღვივებულიყო ტერორისტული ხასიათის განწყობილება...“
(ტ. მე-2 საქმე ფურც. 9)

„...ასეთ განწყობილებათა უშუალო დასკვნად,—აჩვენა ბრალდებულმა ტოლმაზოვმა,—იქცა ლეონიდე ნიკოლაევის გასროლა კიროვის წინააღმდეგ“

ბრძოლის ტერორისტული მეთოდების შესახებ, რომლებიც შეითვისა ამ არალეგალურ კონტრრევოლუციურ ჯგუფმა, ამომწურავი ჩვენებები მისცა ბრალდებულმა ლ. ვ. ნიკოლაევმაც.

„...ჩვენ,—აჩვენა მან,—არ შეგვეძლო გვეცადა პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლისათვის შინაპარტიული დემოკრატიის მეთოდებით. ჩვენ ვითვალისწინებდით, რომ ეს გზა სავსებით გამორიცხულია. დაგვრჩა ერთი გზა. ტერორისტული აქტების გზა.

როცა კიროვს ვუმიზნებდი მე ასე ვმსჯელობდი. ჩვენი გასროლა უნდა იქნეს სიგნალი აფეთქებისაკენ, გამოსვლისათვის ქვეყნის შიგნით საკ. კ. პ. (ბ) ის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ...“
(ტ. მე-2 საქმ. ფურც. 190—192)

მაგრამ აღნიშნულ ჯგუფს, რაკი მას არ გააჩნდა „ქვეყნის შიგნით“ ასეთი გამოსვლების შესაძლებლობის იმედი, პირდაპირ გეზი ქონდა აღებული გარედან დახმარებაზე—შეიარაღებულ კონტრრევოლუციასა და დახმარებაზე უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფოს მხრივ.

ინტერვენციის, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ერთადერთი საშუალების იმედი მკაფიოდ ახასიათებს თვით ბრალდებულ ნიკოლაევის შეხედულებებს, რომელიც ამას არ მალავდა თავის უფრო მახლობელ ადამიანებისაგან.

მაგალითად, ამ საქმის გამო მოწმის სახით დაკითხულმა ლეონიდე ნიკოლაევის ძმამ,—პეტრე ნიკოლაევმა გვიჩვენა:

„... ლეონიდე მეუბნებოდა აგრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიძლებოდა მხოლოდ მასზე უცხოეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების თავდასხმის გზით და რომ იგი ყოველნაირად დაეხმარება, საზღვარგარეთ ყოფნისას, ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, რომელიც თავს დაესხმის საბჭოთა კავშირს, რომ დამხობილ იქნას საბჭოთა ხელისუფლება...“ (ტ. 3, საქ. ფურც. 199),

ანალოგიური ჩვენება მოგვცა ნიკოლაევის მეორე ნათესავმაც, მოქ. რ. მ. კულიშერმა, რომელიც ამ საქმის გამო დაკითხული იქნა როგორც მოწმე:

„ლეონიდე ნიკოლაევმა განმიცხადა, რომ უახლოეს დროში უნდა მოველოდეთ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამასთან მისი ამ განცხადების შინაარსი და მისი გამოთქმის ხასიათი ისეთი იყო, რომ ის, ლ. ნიკოლაევი, კმაყოფილი იქნებოდა, თუ ინტერვენცია მართლა მოხდებოდა“ (ტ. 3, საქ. ფურც. 262).

გამოძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებული ნიკოლაევი, „ლენინგრადის ცენტრის“ წევრთან ბრალდებულ კოტოლინოვთან წინასწარი შეთანხმებით, არაერთხელ სწვევია... კონსულს ქ. ლენინგრადში, რომელთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას ამ ჯგუფისათვის დახმარების გაწევის შესაძლებელი ფორმების შესახებ და რომელსაც ნიკოლაევმა მიაწოდა ინფორმაცია ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც კონსულს აინტერესებდა.

„...მე მივუთითე, — ამბობს ნიკოლაევი თავის 1934 წლის 20 დეკემბრის ჩვენებაში, — რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დავეხმაროთ კონსულს იმის სწორი გაშუქებით, თუ რა კეთდება საბჭოთა კავშირის შიგნით. მე აქ მხედველობაში მქონდა საუბარი შატსკისთან და კოტოლინოვთან იმის შესახებ, რომ აუცილებლად საჭიროა საკონსულოს დაინტერესება ანტისაბჭოთა ხასიათის მასალებით საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობაზე. შემდეგ, მე ვთხოვე კონსულს აღმოეჩინა ჩვენთვის მატერიალური დახმარება და მივუთითე, რომ მისგან მიღებულ ფულს ჩვენ უკან დავუბრუნებდით, როგორც კი ჩვენი ფინანსიური საქმეები შეიცვლებოდა.

შემდეგ შეხვედრაზე — მესამე თუ მეოთხე შეხვედრაზე საკონსულოს შენობაში — კონსულმა მაცნობა, რომ იგი თანახმაა დააკმაყოფილოს ჩვენი თხოვნა, და გადმომცა ხუთი ათასი მანეთი.

ამასთან თქვა, რომ მას შეუძლია გააბას კავშირი ტროცკისთან, თუ გადავცემ რაიმე წერილს ჯგუფისაგან ტროცკისადმი

ჩემი საუბარი კონსულთან მე გავაცანი კოტოლინოვს და გადავეცი მას მიღებული ფული 4.500 მანეთის რაოდენობით, ხოლო 500 მანეთი თვითონ დავიტოვე...“
(ტ. მე-2, საქ. ფურც. 280).

ამგვარად, ქ. ლენინგრადში არსებული ამ კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფის ბრძოლის მიზნები და მეთოდები სავსებით ემთხვევა იმ მიზნებს და მეთოდებს, რომლებსაც ისახავენ ხალხის აშკარა მტრები იმიგრანტ-თეთრგვარდიელთა მემამულურ-კაპიტალისტური ორგანიზაციები—„რუსეთის მხედრობის საერთო კავშირი“ და „რუსეთის სიმართლის ძმობა“ (დენიკინელები),—რომელნიც აშკარად ეწევიან ტერორის პროპაგანდას, სისტემატიურად გზავნიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავის აგენტებს, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობის და ჩადენის მიზნით. და რომელთაც განახორციელეს ამხ. ვ. ვ. ვოროვსკის და ამხ. პ. ლ. ვოიკოვის მკვლელობა

ამხ. კიროვის მკვლელობის მომზადება

კვლევაძიების პროცესში გამოირკვა, რომ ლენინგრადში ამ დროს მოქმედებდა ორი ტერორისტული ჯგუფი. ერთ მათგანს მეთაურობდა „ლენინგრადის ცენტრის“ წევრი კოტოლინოვი; ამ ჯგუფში შედიოდენ ნიკოლაევი, ზვეზდოვი, ანტონოვი, სოკოლოვი, იუსკინი.

მეორე ჯგუფი,—იმავე ნიკოლაევის სიტყვით, მოქმედებდა ნ. ნ. შატსკის ხელმძღვანელობით.

„...კოტოლინოვის ჯგუფი,—აჩვენა შემდეგ ნიკოლაევმა,—ამზადებდა ტერორისტულ აქტს კიროვის წინააღმდეგ, ამასთან მისი უშუალო განხორციელება დაკისრებული მქონდა პირადად მე.

მე შატსკის სიტყვებიდან ვიცი, რომ ასეთივე დავალება მიცემული ჰქონდა მის ჯგუფსაც, ამასთან ამ მუშაობას იგი აწარმოებდა ჩვენ მიერ ტერორისტული აქტის მომზადებისაგან დამოუკიდებლად. კოტოლინოვისაგან გავიგე, რომ მისი ჯგუფი ამზადებდა ტერორისტულ აქტს სტალინის წინააღმდეგ და იყენებდა ყველა იმ კავშირს, რომელიც მას ჰქონდა მოსკოვში.

როგორც მე 1934 წლის 6 დეკემბრის დაკითხვის ოქმში ავღნიშნე, შატსკი და; როგორც ჩანს, მისი ჯგუფი აგრეთვე ამზადებდენ ტერორისტულ აქტს სტალინის წინააღმდეგ, ამგვარად, თვითეულ ჯგუფს მიცემული ჰქონდა სპეციალური მითითებანი ტერორის მოწყობის შესახებ, რასაც ისინი ახორციელებდენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თუმცა უშუალო მიზნები ხშირად ემთხვეოდენ ერთმანეთს. ეს ჩანს იქიდან, თუ როგორ მზადდებოდა კიროვის მოკვლა, რასაც ვამზადებდი მე უმთავრესად სმოლნის რაიონში, ხოლო შატსკი, უმთავრესად, კიროვის ბინის რაიონში...“
(ტომი პირველი, საქმე, ფურ. 273—274)

ამ საქმეში შატსკის როლის აღნიშვნის დროს ნიკოლაევმა აჩვენა:

„...შატსკის პირველად მე შევხვდი 1933 წელს. შემდეგ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით კრასნი ზორის ქუჩაზე 1934 წელს სახლი № 28, სადაც შატსკი ატარებდა ბინის მეთვალყურეობას და არკვევდა კიროვის ყოველ მოძრაობას. ამას იგი ჩადიოდა ტერორისტული აქტის მომზადების მიზნით...“

1934 წლის ოქტომბრის დღეებში მე კვლავ შევხვდი შატსკის კიროვის ბინის მახლობლად, სადაც იგი განაგრძობდა კიროვისათვის თვალყურის დევნებას. რადგან შატსკი აწარმოებდა კიროვის ბინის მეთვალყურეობას, მე ჩემი ყურადღება გადავიტანე სმოლნისაკენ და განვიზრახე მომეკლა კიროვი ამ პუნქტში...“
(ტომი პირველი, ფურცელი 50—51)

რაც შეეხება იმ გარემოებათ, რომლებიც უშუალოდ წინ უძღოდენ ბრალდებული ნიკოლაევის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ამხ. ს. მ. კიროვის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის ჩადენის შესახებ, ეს გარემოებანი შემდეგი სახით გვეხატება:

ბრალდებული კოტოლინოვი ახლოს იცნობდა ნიკოლაევს 1922 წლიდან ვიბორგის რაიონში მუშაობის დროიდან და განსაკუთრებით დაუახლოვდა მას უკანასკნელ წლებში, ნიკოლაევთან ერთერთი შეხვედრის დროს, 1934 წლის შემოდგომაზე, მან პირდაპირ დაუყენა მას საკითხი ამხ. კიროვის მოკვლის შესახებ.

აი რა ჩვენებას იძლევა ამ საუბრის შესახებ თვით ბრალდებული ნიკოლაევი:

„...ეს იყო სექტემბრის შუა რიცხვებში მას შემდეგ, რაც მე შევხვდი შატსკის 1934 წლის აგვისტოში. კოტოლინოვმა დაიწყო ჩემთან ლაპარაკი ზინოვიეველთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. მან გაიხსენა ის საუბარი, რომელიც მე აგვისტოში მქონდა შატსკისთან, და წინადადება მომცა დამეწყო მუშაობა... ამ საუბრიდან კოტოლინოვს შეეძლო გამოეტანა დასკვნა, რომ მე მომზადებული ვარ ძალიან უკიდურეს მოქმედებათა ჩასადენად, მათ შორის ტერორისტული აქტის ჩასატარებლადაც..

შემდეგი შეხვედრის დროს, იმავე სექტემბერში, ინსტიტუტის შენობაში კოტოლინოვმა დამიწყო ლაპარაკი ტერორის შესახებ კოტოლინოვი შემეკითხა—მზად ვარ თუ არა მე მოვახდინო ტერორისტული აქტი კიროვის წინააღმდეგ,—მე ვუპასუხე, რომ მზად ვარ ვკისრო აქტის უშუალო შესრულება“.
(ტომი მეორე, საქმე. ფურც. 81)

ამ საუბრის შინაარსის დაზუსტების დროს ლ. ვ. ნიკოლაევმა აჩვენა, რომ სწორედ მაშინ მან და კოტოლინოვმა შეიმუშავეს თავდასხმის შესაძლო ვარიანტები, ამასთან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „საჭირო იქნება მოქმედება პირობების მიხედვით, რამაც უნდა გვიკარნახოს, თუ თავდასხმის რომელი ვარიანტი იქნას მიღებული....“.
(ტომი მეორე საქმე ფურც. 89).

ამასთან ლ. ვ. ნიკოლაევის ჩვენებით, კოტოლინოვმა უთხრა მას, რომ

„კიროვის ჩამოშორება შეასუსტებს საკ. კ. პ, (ბ) არსებულ ხელმძღვანელობას, რომ კიროვთან ყოფილ ოპოზიციას აქვს თავისი საკუთარი ანგარიშები იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც მოაწყო მან ლენინგრადელ ოპოზიციონერების წინააღმდეგ...“
(ტ. მე-2, საქმე, ფურც. 81)

შემდეგ ნიკოლაევმა თვითონ აღიარა, რომ ბრალდებულმა კოტოლინოვმა უშუალო მონაწილეობა მიიღო ამხ. კიროვზე თავდასხმის გეგმის შემუშავებაში.

ეს გეგმა, დათარიღებული ა.-წ. 1 ნოემბრის რიცხვით, რომელიც უპოვეს ნიკოლაევს მისი დაპატიმრების დროს და დაურთეს საქმეს როგორც ერთერთი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, შემუშავებული იყო ყველა წვრილმანის გათვალისწინებით, იგი ითვალისწინებდა იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც შეიძლება წამოჭრილიყო მისი შესრულების დროს.

ამხ. კიროვის მკვლელობის მომზადების საქმეში თავისი თანამონაწილეების როლის დახასიათების დროს ბრალდებულმა ნიკოლაევმა აჩვენა:

„...კოტოლინოვმა უშუალოდ ჩემთან დაამუშავა აქტის ჩადენის ტექნიკა, მოიწონა ეს ტექნიკა, სპეციალურად გამოარკვია, თუ როგორ ვესვრი მე ნიშანში. იგი იყო ჩემი უშუალო ხელმძღვანელი აქტის განხორციელების საქმეში“.

სოკოლოვი არკვევდა, თუ რამდენად ხელსაყრელია **კიროვის** ჩვეულებრივი მარშრუტის ესა თუ ის პუნქტი და ამით აადვილებდა ჩვენს მუშაობას. სოკოლოვი არკვევდა კიროვის მარშრუტებს 1934 წლის ოქტომბრის დღესასწაულების წინ.

იუსკინმა იცოდა, რომ მზადდებოდა ტერორისტული აქტი **კიროვის** წინააღმდეგ, მან ჩემთან ერთად შეიმუშავა სმოლნში თავდასხმის ვარიანტი.

ზვეზდოვმა და ანტონოვმა იცოდენ აქტის მომზადების ამბავი—ისინი უშუალოდ იყვენ დაკავშირებული კოტოლინოვთან, რომლის სიტყვებიდანაც მე ვიცი, რომ ისინი გამოყენებული იყვენ ინფორმაციის შესაკრებად სმოლნში.
(ტომი 1, საქმე, ფურც. 274)

კვლევა - ძიებით დადასტურდა, რომ ბრალდებული ლ. ნიკოლაევი, მას შემდეგ, რაც კონტრრევოლუციურმა არალეგალურმა ტერორისტულმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ამხ. ს. მ. კიროვის მოკვლის შესახებ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავის თანამონაწილესთან ერთად გულდასმით ემზადებოდა ამ საზიზღარი ბოროტმოქმედების ჩასადენად.

მაგალითად, ბრალდებული ლ. ნიკოლაევი რამდენიმე თვის განმავლობაში (1934 წლის აგვისტო-ნოემბერი), როგორც იგი თვითონ ამბობს, ხშირად „ისროდა“ მის განკარგულებაში მყოფ, და ამხ. კიროვის მოსაკლავად დანიშნულ „ნაგანის“ სისტემის რევოლვერს, და სისტემატიურად ვარჯიშობდა სროლაში. ამავე დროს ბრალდებული ნიკოლაევი ღებულობდა ზომებს არალეგალურ მდგომარეობაზე გადასასვლელად, რის გამო მან დაამზადა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა ბლანკები შტემპელებით. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ბოროტმოქმედების კვალის და თავისი თანამონაწილეების დაფარვის მიზნით, აგრეთვე ამხ. კიროვის მოკვლის ნამდვილი მოტივების დამალვის მიზნით, ბრალდებულმა ლ. ნიკოლაევმა დაამზადა მთელი რიგი დოკუმენტები (დღიური, განცხადებები სხვადასხვა დაწესებულებათა სახელზე და სხვ.), რომლებშიაც ცდილობდა გაესაღებია თავისი დანაშაული როგორც პირადი სასოწარკვეთილების და დაუკმაყოფილებლობის აქტი, ვითომდა თავისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო და როგორც პროტესტი „ცალკეულ სახელმწიფო მოღვაწეთა მხრით ცოცხალი ადამიანისადმი უსამართლო დამოკიდებულების წინააღმდეგ“.

თვითონ ბრალდებულმა ლ. ნიკოლაევმა აღიარა, რომ ასეთი ვერსია ცრუ და მოჭორილია. მან განმარტა, რომ ეს ვერსია მან გამოიგონა ტერორისტული ჯგუფის წევრებთან წინასწარი შეთანხმებით რომელმაც გადაწყვიტა ამხ. კიროვის მოკვლა დაეხატა როგორც ინდივიდუალური აქტი და ამით დაემალა ამ დანაშაულის ნამდვილი მოტივები (ტომი პირველი, საქ. ფურც. 6).

ა.-წ. 13 დეკემბრის ჩვენებებში ლ. ნიკოლაევი პირდაპირ ამბობს:

„...კიროვის მოკვლა მე უნდა დამეხატა, როგორც ერთპიროვნული აქტი, რომ დამემალა ზინოვიევის ჯგუფის მონაწილეობა მასში (ტომი პირველი, საქ. ფურც. 266).

ამ გარემოებას ადასტურებს აგრეთვე ისიც, რომ, როგორც ეს ამომწურავად გამოირკვა კვლევა - ძიების პროცესში, ბრალდებული ლ. ნიკოლაევი გადაჭრით და სისტემატიურად უარყოფდა ყოველგვარ წინადადებას სამუშაოზე მისი მოწყობის შესახებ, ხან მიუთითებდა თავის ჯანმრთელობის სუსტ მდგომარეობაზე და მკურნალობის საჭიროებაზე, ხან კი რაიმე სხვა გარემოებებზე, რომლებიც ვითომ ხელს უშლიან მის შესვლას სამსახურში.

მოწმეთა სახით ამ საქმის გამო დაკითხული მთელი რიგი პირების და მათ შორის ბრალდებულ ლ. ნიკოლაევის დედის—მ. ტ. ნიკოლაევას და მისი ცოლის—დრაულე მილდის ჩვენებებით გამოძიებამ გამოარკვია, რომ ბრალდებული ნიკოლაევი ამ პერიოდში მატერიალურ გაჭირვებას არ განიცდიდა, ისე როგორც არ განიცდიდა გაჭირვებას მისი ოჯახიც. ბრალდებული ლ. ნიკოლაევი რომ ამ პერიოდში მატერიალურ ხელმოკლეობას არ განიცდიდა, ამას ადასტურებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ნიკოლაევს ჰქონდა კარგად მორთული სამოთახიანი ბინა; და, გარდა ამისა, 1934 წლის ზაფხულს მან სესტრორეცკის კურორტზე კერძო სახლ-მფლობელისაგან აგარაკი დაიქირავა. ბრალდებულ ლ. ნიკოლაევის მატერიალურ მდგომარეობაზე და მისი არსებობის წყაროებზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ უკვე ზემოთ მოყვანილი საკუთარი მისი ჩვენების მიხედვით.. კონსულისაგან... მის მიერ საგრძნობი ფულადი სახსრების მიღების შესახებ.

თავის ერთ-ერთ ჩვენებაში ბრალდებული ნიკოლაევი პირდაპირ აჩვენებს:

„მე მას (კოტოლინოვს) ვაცნობე, რომ გადავწყვიტე არ მემსახურა აქტის მომზადების პერიოდში, რათა საკმაო თავისუფალი დრო მქონებოდა კიროვის მოკვლის განსახორციელებლად. კოტოლინმა მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება“ (ტომი მე-2, საქმის ფურც. 85)

ამასვე ადასტურებს ბრალდებული ლ. ნიკოლაევის ცოლი მილდა დრაულე, რომელიც აჩვენებს:

„...1934 წლის მარტიდან მას (ე. ი. ლ. ნიკოლაევს) დაპატიმრებამდე იგი არსად არ მუშაობდა. ეს აიხსნებოდა არა იმით, რომ მას არ შეეძლო სამუშაოს მიღება, არამედ მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ ემუშავა. მე ვფიქრობ, რომ რაკი ის მთლიანად გატაცებული იყო ტერორისტული აქტის მომზადებით არ უნდოდა შეეზღუდა თავი სადმე მუშაობით“... (ტომი მე-3, საქმის ფურც. 201).

ბრალდების ფორმულა

უკეთებს რა ანალიზს ყოველივე ზემოთქმულს, გამოძიება დადასტურებულად თვლის:

1) რომ 1933-34 წლების პერიოდში ლენინგრადში ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის ყოფილი მონაწილეების რიცხვიდან ჩამოყალიბდა არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის დეზორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების გზით და ამ საშუალებით შეეცვალა ახლანდელი პოლიტიკა ეგრეთწოდებული ზინოვიევ-ტროცკისტული პლატფორმის მიხედვით;

2) რომ ამ არალეგალურ კონტრრევოლუციური ტროცკისტული ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდენ ამ საქმეში ბრალდებულნი; ლ. ვ. ნიკოლაევი, ი. ი. კოტოლინი, ნ. ს. მიასნიკოვი, ნ. ნ. შატსკი, ს. ო. მანდელშტამი, გ. ვ. სოკოლოვი, ვ. ი. ზვეზდოვი, ი. გ. იუსკინი, ვ. ვ. რუმიანცევი, ნ. ს. ანტონოვი, ა. ო. ხანიკი, ა. კ ტოლმაზოვი, ვ. ს. ლევინი და ლ. ი. სოსიცკი.

3) რომ ამ არალეგალურ კონტრრევოლუციურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა არალეგალური ტერორისტული „ლენინგრადის ცენტრი“ შემდეგ ბრალდებულთა შემადგენლობით:

ი. ი. კოტოლინოვი, ნ. ნ. შატსკი, ვ. ვ. რუმიანცევი, ს. ო. მანდელშტამი, ნ. პ. მიასნიკოვი, ვ. ს. ლევინი, ლ. ი. სოსიცკი და ლ. ნიკოლაევი.

4) რომ კონტრრევოლუციურმა ტერორისტულმა „ლენინგრადის ცენტრმა“, ზემოთაღნიშნული თავისი დანაშაულებრივი მიზნების მიხედვით აგრეთვე შურისძიების მოტივით ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრის და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ლენინგრადის კომიტეტის მდივნის ამხ. ს. მ. კიროვისადმი, რომელმაც იდეურად და პოლიტიკურად გაანადგურა ყოფილ ზინოვიეველთა ლენინგრადის ჯგუფი,—შეიმუშავა გეგმა და მოაწყო ამხ. ს. მ. კიროვის მკვლელობა, რომელიც კიდეც ჩადენილ იქნა ა.-წ. პირველ დეკემბერს ლ. ვ. ნიკოლაევის მიერ.

ამ საქმის გამო ბრალდებულებმა მათთვის წაყენებული ბრალდების შესახებ აჩვენეს:

1. ლ. ნიკოლაევმა — მთლიანად დამნაშავედ სცნო თავისი თავი და მისცა ზევით მოყვანილი ჩვენებანი;
2. კოტოლინოვმა—დამნაშავედ სცნო თავისი თავი, როგორც იმაში, რომ ის ეკუთვნოდა არალეგალურ კონტრრევოლუციურ ჯგუფს, რომელიც შეიქმნა ქ. ლენინგრადში ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის ყოფილ მონაწილეთა რიცხვიდან, აგრეთვე იმაშიც, რომ ის იყო ერთერთი მისი ხელმძღვანელი, ბრალდებული კოტოლინოვი უარყოფს თავის უშუალო მონაწილეობას ამხ. ს. მ. კიროვის მოკვლაში, მაგრამ აღიარებს, რომ, როგორც ხსენებული ჯგუფის აქტიური წევრი და ხელმძღვანელი, იგი პასუხისმგებელია ამ დანაშაულისათვის.
3. შატსკიმ—თავისი თავი არ სცნო დამნაშავედ, მაგრამ მას ამხილებენ ნიკოლაევის, კოტოლინოვის, რუმიანცევის, მანდელშტამის და სხვათა ჩვენებანი.
4. სოკოლოვმა — დამნაშავედ სცნო თავისი თავი იმაში, რომ ის ეკუთვნოდა არალეგალურ ტერორისტულ ჯგუფს, ამავე დროს იგი უარყოფს თავის უშუალო მონაწილეობას ნიკოლაევის მიერ ამხ. კიროვის მოკვლის მომზადებაში.
5. ზვეზდოვმა—მთლიანად დამნაშავედ სცნო თავისი თავი.
6. იუსკინმა, თუმცა უარყო, რომ იგი ზემოთაღნიშნულ ჯგუფს ეკუთვნოდა, მაგრამ აღიარა, რომ მან იცოდა ამხ. კიროვის მოსაკლავად მომზადება.
7. ანტონოვმა—მთლიანად დამნაშავედ სცნო თავისი თავი.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ამხ. ა. ი. გაბერ-კორნის გარდაცვალება

26 დეკემბერს, დილის 4 ნახევარ საათზე გულის ავადმყოფობით საკუთარ ბინაზე გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. ანტონ ივანეს-ძე გაბერ-კორნი

ამხ. გაბერ-კორნის ხსოვნას



დღითი-დღე მცირდება ძველი გვარდიის რიგები.

ამხ. ა. ი. გაბერ-კორნის სახით კომპარტიამ და მუშათა კლასმა დაჰკარგა ერთი თავდადებული მებრძოლი ბოლშევიკი პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ღარიბი ოჯახიდან, ობოლ გაბერ კორნი საარსებო წყაროს ძებნის დროს ბაქოში მოხვდება და აქ, ამიერ-კავკასიის ამ მსხვილ პროლეტარულ ცენტრში, 14 წლის ბავშვი, იწყებს თავის კლასთან ერთად მის მოწინავე რიგებში ბრძოლას თვითმპყრობელობის, ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

1905 წლიდან ის უკვე პარტიის რიგებშია — იბრძვის როგორც მტკიცე ბოლშევი ფაბრიკა-ქარხანაში, მუშათა კრებებზე, მიტინგებზე — სიტყვით. წერით. იარაღით ხელში და სხვ. ერთი სიტყვით მუშაობასა და ბრძოლაში მას შეჰქონდა ბოლშევიკური სული, გულწრფელობა, სისწორე, გამძლეობა პრინციპიალობა, ბოლშევიკური შეურიგებლობა.

ასეთი იყო ამხ. გაბერ-კორნი ძველი რეჟიმის დროს, ამ რეჟიმის დამხობის შემდეგაც, სამოქალაქო ომის დროსაც, სოციალისტური მშენებლობაშიც.

მოკვდა ამხ. გაბერ-კორნი და თავისი ბრძოლის საუკეთესო ბოლშევიკური თვისებები უანდერძა ახალ თაობას, იმ წითელ დროშასთან ერთად, რომელიც მას ხელიდან არ გაუშვია, როგორც მებრძოლს 30 წლის ბრძოლის მანძილზე.

ფაცეკი, კვარაცხელია, გ. ჩხეიძე, ს. მეგრელიშვილი, ს. თოდრია, ე. კვანტალიანი, გ. სტურუა. თ. ჟღენტი, ს. ჟღენტი, სოკოლოვსკი, ვ. ფაშაკიძე, ალაჯალოვა, შახსუვარიანი, ხუმარიანი, ფრანგულიანი, ბუნიატ-ზადე, ა. დოლიძე, დ. ნასარიძე. ი. იოვიძე, ზ. ტრაპაიძე. ი. ბახტაძე.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ანტონ ივანეს-ძე გაბერ-კორნი დაიბადა 1883 წელს მარიენბურგში (ყოფილი სამარის გუბერნია), მოჯამაგირის ოჯახში

12 წლის განმავლობაში ანტონი ივანესძე მუშაობდა ზეინკლად სხვადასხვა ადგილას.

1904 წ. ამხ. გაბერ-კორნი შედის პარტიის რიგებში. 1904—1906 წლებში მუშაობს ბაქოს პარტიულ წრეებში.

1910—15 წლამდე ამხ. გაბერ-კორნი მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე პეტროვსკსა, ბაქოსა, განჯასა, კუშკასა და მერვში.

1915—17 წლამდე იგი მუშაობს გულიაევის ნავთის სარეწაოებზე ნავთსადენის კონტროლიორად და მოანგარიშედ, ხოლო 1917—18 წლებში—ლიანოზოვის ნავთის სარეწაოზე

1918—21 წლამდე ამხ. გაბერ-კორნი ასრულებს პასუხსაგებ სამუშაოს ბაქოს, ასტრახანის, მოსკოვის, პიატიგორსკის, როსტოვის, პარტიულ, საბჭოთა და სამხედრო ორგანიზაციებში.

1921—22 წლებში ამხ. გაბერ-კორნი მუშაობს აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ.

1922—25 წლამდე ანტონ ივანეს-ძე არის პასუხსაგებ თანამდებობაზე აზერბეიჯანის საგანგებო კომისიაში.

ამავე წელს იგი ინიშნება აზერბეიჯანის ს.ს.რ-ის მუშგლეხინის სახალხო კომისრად.

1928 წელს ამხ. გაბერ-კორნი ინიშნება ა.-კ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს პროკურორად და ამ თანამდებობაზე მუშაობს დროგამოშვებით, სანამ გადავიდა სამუშაოდ სსრ-ის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულად ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში.

1923-დან დაწყებული დღემდე ამხ; გაბერ-კორნი იყო საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის წევრი და ა:-კ: რამოდენიმე მოწვევის ცაკის წევრი

ამხ. გაბერ-კორნი ა.-კ. სფ.ს,რ-ის ცაკის მიერ ორჯერ იყო დაჯილდოებული საგანგებო კომისია — სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საპატიო მუშაკის ნიშნებით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

დამკრძალავი კომისია

განსვენებულის დასაკრძალავად გამოყოფილია მთავრობის კომისია, რომელშიაც შედიან — ამხ. ს. თოდრია (კომისიის თავმჯდომარე) ე. კვანტალიანი, ვ. ფაშაკიძე თ. ჟღენტი და უჩანეიშვილი.

⁂

26 დეკემბერს საღამოს განსვენებულის ცხედარი გადაასვენეს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში, სადაც შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი. მეორე სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს იქვე, საღ. 7 საათზე.

⁂

კომისიის დადგენილებით, განსვენებულის დაკრძალვა შესდგება 28 დეკემბერს ძმათა სასაფლაოზე ხუდადოვისეულ ტყეში.

ცხედარს გამოასვენებენ ნაშუადღევს 3 საათზე.

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, ძველი პარტიელის, ამიერ - კავკასიაში ს. ს. რ. კ. კავშირგაბმულობის რწმუნებულის

ამხ. ანტონ ივანესძე გაბერ-კორნის

გარდაცვალებას.

ს. ს. რ. კ. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი იუწყება რომ გარდაიცვალა მისი რწმუნებული ამიერ - კავკასიაში, ძველი ბოლშევიკი.

ამხ. ანტონ ივანესძე გაბერ-კორნი.

აზერბეიჯანის ს. ს. რ. სახკომსაბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ს. ს. რ. კ. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა ში

ანტონ ივანესძე გაბერ-კორნი.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი მწუხარებით იუწყება ტფილისის პარტორგანიზაციის წევრის, პარტიისათვის თავდადებული ბოლშევიკის—ამიერ-კავკასიაში ს. რ. კ. კავშირგაბმულობის სახკომისარიატის რწმუნებულის

ამხ. ანტონ ივანესძე გაბერ-კორნის

გარდაცვალებას.

ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო მწუხარებით იუწყება — ამიერ - კავკასიაში ს. ს.რ. კ. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის დაძველი ბოლშევიკის

ამხ. ანტონ ივანესძე გაბერ-კორნის

გარდაცვალებას.

საბრალმდებლო დასკვნა

8. რუმიანცევმა —დამნაშავედ სცნო თავისი თავი მხოლოდ იმაში, რომ ის ეკუთვნოდა ყოფილ ზინოვიეველთა არალეგალურ ჯგუფს.

9. მანდელშტამმა — დამნაშავედ სცნო თავისი თავი როგორც იმაში, რომ იგი ეკუთვნოდა აღნიშნულ ჯგუფს, ისე იმაშიც, რომ იყო ლენინგრადის ცენტრის წევრი, მაგრამ იგი უარყოფს, რომ გაცნობილი იყო ამ ჯგუფის საქმიანობის ტერორისტულ მეთოდებს.

10 ტოლმაზოვმა — თავისი თავი დამნაშავედ აღიარა იმაში. რომ იგი ეკუთვნოდა ზემოთაღნიშნულ ჯგუფს.

11 ლევინმა — დამნაშავედ სცნო თავისი თავი იმაში, რომ იგი იყო ყოფილ ზინოვიეველთა ლენინგრადის არალეგალური ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

12. ხანიკმა და.

13. მიასნიკოვმა — დამნაშავედ სცნეს თავისი თავი მხოლოდ იმაში, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ყოფილ ზინოვიეველთა არალეგალურ ჯგუფს.

14 ხოხიცკიმ— დამნაშავედ სცნო თავისი თავი იმაში, რომ იგი ეკუთვნოდა ლენინგრადის ცენტრს და იმაშიც. რომ იგი ცნობილი იყო ყოფილ ზინოვიეველთა არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრების ტერორისტულ განწყობილებას.

ზემოთქმულის მიხედვით, ბრალი ედებათ:

1) **ლეონიდე ვასილისძე ნიკოლაევს**, 1904 წელში დაბადებულს. მოსამსახურეს, პარტიის ყოფილ წევრს, გამორიცხულს პარტიიდან პარტიის დისციპლინის დარღვევისათვის, მაგრამ აღდგენილს მის მიერ შეცდომების შესახებ განცხადების მოტანის გამო, იმაში, რომ, იყო რა წევრი ტერორისტული არალეგალური კონტრრევოლუციური ჯგუფისა, რომელიც შეიქმნა ქ. ლენინგრადში ზინოვიევის ყოფილი ანტისაბჭოთა ჯგუფის მონაწილეთა რიცხვიდან, და წევრი არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული „ლენინგრადის ცენტრისა", უკანასკნელის დავალებით, 1934 წლის პირველ დეკემბერს ქ. ლენინგრადში, სმოლნის შენობაში მოკლა ს. ს. რ. კ-ის ცაკის პრეზიდიუმის წევრი, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ლენინგრადის კომიტეტის მდივანი **ს. მ. კიროვი**, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის ს.ფ.ს.რ.-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58—8 და 58 —11 მუხლებით.

2) **ივანე ივანესძე კოტოლინოვს**, დაბადებულს 1905 წელს. სტუდენტს, საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს. პარტიიდან გარიცხულს ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობისათვის: მაგრამ აღდგენილს მისი ოფიციალური განცხადების შემდეგ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან სრული სოლიდარობის შესახებ;

3) **ნიკოლოზ ნიკოლოზისძე შატსკის.** დაბადებულს 1899 წელს ინჟინერს. 1927 წელს გარიცხულს საკ. კ.პ (ბ) რიგებიდან ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობისათვის, უპარტიოს;

4) **ვლადიმერ ვასილისძე რუმიანცევს**, დაბადებულს 1902 წელს, მოსამსახურეს, საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს, გარიცხულს პარტიიდან ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობისათვის, მაგრამ ისევ აღდგენილს მისი ოფიციალური განცხადების შემდეგ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან სოლიდარობის შესახებ.

5) **სერგეი ოსიპისძე მანდელშტამს**, დაბადებულს 1896 წელს, მოსამსახურეს, პარტიის ყოფილ წევრს, გარიცხულს პარტიიდან ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობისათვის, მაგრამ აღდგენილს იმავე მოტივებით;

6) **ნიკოლოზ პეტრესძე მიასნიკოვს**, დაბადებულს 1900 წელს, მოსამსახურეს, ორჯერ გარიცხულს პარტიიდან ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობისათვის, მაგრამ აღდგენილს იმავე მოტივებით.

7) **ვლადიმერ სოლომონისძე ლევინს**, დაბადებულს 1897 წელს მოსამსახურეს, საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს, პარტიიდან გარიცხულს ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობისათვის, მაგრამ აღდგენილს იმავე მოტივებით;

8) **ლევ ილიასძე ხოხიცკის**, დაბადებულს 1892 წელს, მოსამსახურეს პარტიის ყოფილ წევრს, გარიცხულს ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობისათვის, მაგრამ აღდგენილს იმავე მოტივებით;

9) **გიორგი ვასილისძე სოკოლოვს**, დაბადებულს 1904 წელს სტუდენტს. საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს;

10) **იგნატი გრიგოლისძე იუსკინს**, დაბადებულს 1898 წელს. მოსამსახურეს. საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს;

11) **ვასილ ივანისძე ზვეზდოვს**, დაბადებულს 1902 წელს. სტუდენტს. საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს;

12) **ნიკოლოზ ხიმონისძე ანტონოვს**, დაბადებულს 1903 წელს, საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს;

13) **ლევ ოსიპისძე ხანიკს**, დაბადებულს 1902 წელს, მოსამსახურეს, საკ. კ.პ. (ბ) ყოფილ წევრს;

14) **ანდრეი ილიასძე ტოლმაზოვს**, დაბადებულს 1899 წელს, სტუდენტს. საკ. კ. პ. (ბ) ყოფილ წევრს;

ყველას მასში, რომ იყვნენ რა არალეგალური კონტრრევოლუციური ტერორისტული ჯგუფის მონაწილენი ქალაქ ლენინგრადში, მოაწყვეს და მოამზადეს 1934 წლის 1-ლ დეკემბერს ბრალდებულ ნიკოლაევის მიერ ჩადენილი მკვლელობა ს. მ. კიროვისა, ე. ი. დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია რ.ს.ფ.ს.რ.-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 და 58—11 მუხლებით.

ზემოღანიშნულის გამო და საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის 9 ივლისის და 1-ლ დეკემბრის დადგენილებებთან შეფარდებით ყველა ზემოთდასახელებული პირები იგზავნებიან საბჭ. კავ. უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გასასამართლებლად.

აღნიშნული საბრალმდებლო დასკვნა შედგენილია ქ. ლენინგრადში 1934 წლის 25 დეკემბერს.

საბჭოთა კავშირის პროკურორის მოადგილე ა. ვიშინსკი.

საბჭოთა კავშირის პროკურორთან მყოფი უდიდეს საქმეთა გამომძიებელი ლ. შეინინი.

„ვამტკიცებ"—საბჭოთა კავშირის პროკურორი ი. აკულოვი.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მე-13 სპარტაკიადა

მარცხნიდან მარჯვნივ: შეჯიბრების მონაწილენი; 1) გულიაშვილი, 2) მიკირტუმიანი, 3) ბრომბერგი, 4) გუმაშიანი, 5) მულერი.

25 დეკემბერს დილით, დინამოს საბჭოთა დარბაზში დამთავრდა პირველობის გათამაშება ფრანგულ ჭიდაობაში.

უმძიმეს წონაში პირველი ადგილი დაიჭირა შუშპანოვმა (ბალტიის ფლოტი); მას მიჰყვება ბამბარიანი. ნახევრად მსუბუქ წონაში: 1. ტარასოვი (ბალ. ფლოტი), 2. ზარნაძე (ქართ. დივიზია), 3. დავიდენკო (შავი ზღვის ფლოტი), მსუბუქ წონაში: 1. ნაცვალოვი (კავკასიის მსრ. დივიზია), 2. აგაევი (კავშგაბმ. ლეგიონი) 3. დანიელიანი (რკ. გზის ლეგიონი).

მეტად საინტერესო იყო ივაშინისა და გეგეჭკორის საფინალო შეხვედრა ნახევრად საშუალო წონაში, შეჯიბრება პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

საშუალო წონაში პირველ ადგილზე სტაასოვი გამოდის, მეორე ადგილი რჩება ბალდასაროვს, მესამე—ციფციძეს.

ნახევრად მძიმე წონაში პირველ ადგილზეა აშიხმინი, მეორეზე ბუტნოვი.

ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართა მეორე თანრიგის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრი, რომელშიაც თავი ისახელეს კაპანაძემ (ქართ. დივიზია), ბუსიგინამ (კავკ. მე-8 დივიზია), მაისურაძემ (ქართ. დივ.) ჩარავამ (ა.-კ. ქვეითა სკოლა)

უმაღლეს მეთაურთა შორის კარგი მაჩვენებლები აქვს ა.-კ. ქვეითა სკოლის შტაბის უფროსს ამხ. ჭავჭანიძეს. უფროს მეთაურთა შემადგენლობაში წინ არის ტიმოფეევი.

საღამოთი გრძელდება პირველი თანრიგის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება ლერძზე. წინ არიან ამხ. ბაბილოძე და რომანიშვილი

საინტერესო იყო შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში. ბრომბერგმა უმძიმეს წონაში ცალი ხელით აჰკრა 54.500 კლგრ., რითიც დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი მძიმე წონაში გულიაშვილმა აჰკრა 81.650 კილოგრ. რითიც დაფარა მის მიერვე დამყარებული ა.-კ. რეკორდი. საშუალო წონაში წინ მიდიან მალცევი, ულენტი და სიმონიანი.

ტფილისის არქიტექტორთა პირველი კონფერენცია

25 დეკემბერს, საღამოს 8 საათ., პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა ტფილისის არქიტექტორების, ინჟინერ-მშენებლების, მხატვრების და მოქანდაკეთა პირველი კონფერენცია პარტიულ და საბჭოთა აქტივის თანდასწრებით ეს კონფერენცია არის მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს არქიტექტორთა კონფერენციისათვის, რომელიც იანვარში მოეწყობა.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ტფილისის გენერალური დაგეგმარება და დამტკიცებულ სქემის რეალიზაცია ახალი ობიექტების მშენებლობის არქიტექტურულ მხატვრული გაფორმება. ახალი საამშენებლო მასალები.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა ინჟ. ზ. ქურდიანის მოხსენება. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირში

არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია არქიტექტორი ნ. პ. სევეროვი. თავმჯდომარის მოადგილედ არქ. ბ. ცაგარელი, პასუხისმგებელ მდივნად დამტკიცებულია არქ. დ. ივანიშვილი.

◆

2.900 კვ. მეტრი ახალი საბინაო ფართობი

მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში პინკომშენმა ტფილისის საბჭოს გადასცა 1.500 კვ. მეტრი ახალი საბინაო ფართობი.

1935 წლის პირველი იანვრისათვის გადაცემული იქნება კიდევ. 1.990 კვ. მეტრი ფართობი.

საქ. საბინაო კავშირის ხაზით მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გადაცემულ იქნა 1.348 კვ. მეტრი ახალი საბინაო ფართობი.

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შემოწმების ოცდღიური

წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ ლენინის დეკრეტის გამოცემიდან 15 წლის შესრულების გამო საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა, ალკკ ცენ. კ-მა და პროფკავშირთა საბჭომ გამოიტანეს დადგენილება, რომ ამა წლის 26 დეკემბრიდან 1935 წლის 16 იანვრამდე ჩატარდეს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შემოწმების ოცდღიური განათლების, კომკავშირის და პროფკავშირის ორგანოების საშუალებით უნდა მოეწყოს ამ დარგში მიღწეულ წარმატებათა ფართო პოპულარიზაცია (საუბრები. მოხსენებები. ლოზუნგ-პლაკატები და სხვა.

მიმდინარე რესპუბლიკურ კონკურსთან დაკავშირებით უნდა გამახვილდეს ყურადღება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში არსებულ ნაკლოვანებებზე. მათი საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით ოცდღიურის განმავლობაში უნდა მიღწეულ იქნას ჯერ კიდევ სკოლის გარეშე დარჩენილ წ.-კ. უცოდინართა სწავლებაში 100 პროც. ჩაბმა და მათი სისტემატური დასწრება მეცადინეობაზე.

უნდა შემოწმებულ იქნას აგრეთვე არსებულ სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა; ყველა სკოლა უზრუნველყოფილ უნდა იქნას ბინით. გათბობა-განათებით და სასწავლო ნივთებით უნდა ჩატარდეს შინა-რესურსების მობილიზაცია სკოლების მატერიალური ბაზის შემდგომი გამტკიცებისათვის.

* * *



ა.-კ. წ. დ. ა-ს სპარტაკიადა ჭიდაობაში შეჯიბრის ერთი მომენტი

ციტრუსები აბაშაში

აბაშა, 25 დეკემბერი. აბაშის რაიონი არ შედის საქართველოს სუბტროპიკული რაიონების ზონაში, თუმცა აქ ბევრ სოფელში მშვენივრად ხარობს და ნაყოფს იძლევა მანდარინის ხე (ნიადაგში) და ლიმონის ხე (კასრებში).

მაგალითად, აბაშაში გრიშა დანელიას სახლთან იზრდება 15 ძირი მანდარინის ხე, რომლებიც იძლევა ტკბილ სურნელოვან ნაყოფს.

აბაშის სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა იკისრა რაიონში ციტრუსების გავრცელების ინიციატივა. მოწყობილია ტრიფოლიატის სანერგე, სადაც დარგულია 5.000მდე საძირე. განზრახულია გაზაფხულზე შემოზიდულ იქნას რაიონში მანდარინის ხის 2000-მდე დამყნილი ნერგი, აქედან 1000-ს დარგავენ ქალაქის ბაღებში, სკოლებთან და სხვ., ხოლო 1000 მიეცემათ კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს.

1936 წელს რაიონში უნდა იქნას სულ ცოტა 5.000 დამყნილი მანდარინის ახალ გაზრდა ხე (ადს).

◆

აღბულაღის სკოლას ეწოდა ნ. მარის სახელი

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ა.-კ. ფილიალმა 25 დეკემბერს მიიღო დეპეშა აღბულაღ-მანგლისის საბჭოების ყრილობის პრეზიდიუმისაგან.

ყრილობა გამოსთქვამს მწუხარებას დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ნიკო მარის გარდაცვალების გამო.

ყრილობის დადგენილებით მანგლისის ათწლედს ეწოდა ნიკო მარის სახელი.

◆

პროფესორ ი. გაჩეჩილაძის იუბილე

პროფ. ივანე ერასტის-ძე გაჩეჩილაძეს შეუსრულდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წელი. მას აქვს გამოქვეყნებული ოცამდე სამეცნიერო შრომა. ამჟამად იბეჭდება რამოდენიმე შრომა, რომელიც უახლოეს დროში გამოვა.

პროფ გაჩეჩილაძის იუბილეს ჩასატარებლად გამოყოფილია კომისია ა.-კ. ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს მიერ კომისიაში მონაწილეობენ სახ. უნივერსიტეტის. სასოფლო სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტის წარმომადგენლები.

◆

ნორვეგიელი რეჟისორების ჩამოსვლა

უახლოეს მომავალში რუსთაველის თეატრი მოელის ახალგაზრდა ნორვეგიელ რეჟისორთა ჯგუფის ჩამოსვლას ტფილისში ოსლოდან (ნორვეგიის დედა-ქალაქი).

ჯგუფი საქართველოში იგზავნება სპეციალურად რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მეთოდების შესასწავლად.

ნორვეგიელი რეჟისორები ტფილისში დარჩებიან წლის განმავლობაში და შეისწავლიან თეატრის მხატვრულ-შემოქმედებითი მუშაობას (ადს).

ვოროშილოველი მსროლელი ამხ. სალონი, 52 წლის დამკვრელი მუშა (36 წელია მუშაობს რკ. გზის ტრანსპორტზე), რომელმაც ჩააბარა ვოროშილოველი მსროლელის ნორმა.

◆

კ ი ნ ო

„ჩაპაევის" სანახავად შორეულ რაიონებიდან მოდიან კოლმეურნეები

ბათომი. კინოფილმმა „ჩაპაევმა" დიდი ინტერესი გამოიწვია აჭარისტანის და დასავლეთ საქართველოს მშრომელთა შორის.

ყოველდღიურად აჭარისტანის და დასავლეთ საქართველოს დამკვრელი კოლმეურნეები ორგანიზებულად ჩამოდიან ბათომში „ჩაპაევის" სანახავად.

„ჩაპაევი" ნახეს სამტრედიის, ნატანების, ქობულეთის, მახინჯაურის და სხვ კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მშრომელმა გლეხებმა.

6 დღის განმავლობაში „ჩაპაევი" ბათომში ნახა 14 ათასმა მშრომელმა.

„ჩ ა პ ა ე ვ ი" წ. არმიის სახლში

ტფილისის წითელი არმიის სახლში დიდი [illegible] წარმატებით მიმდინარეობს (ხმოვანი კინო-სურათის „ჩაპაევის" დემონსტრაცია. 15-დან 22 დეკემბრამდე წითელი არმიის სახლში „ჩაპაევი" ნახა 9.000-ზე მეტმა კაცმა. „ჩაპაევის" დემონსტრაცია წითელი არმიის სახლში დამთავრდება 23 დეკემბერს. ამ დღეს იქნება 5 სეანსი.

წითელი არმიის სახლის კინო-თეატრში „ჩაპაევს" სულ ნახავს 12.000-მდე მეომარი, მეთაური და მათი ოჯახის წევრები. (ათს).

◆

ქრონიკა

— 28 დეკემბერს დღის 3 ნახ საათზე ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქ № 2 შესდგება მეორე თათბირი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების აკადემიური გამოცემის საკითხზე. თათბირზე მოწვეულნი არიან ი. გრიშაშვილი, აკ. გაწერელია, ქრ. რაჭველიშვილი, ხ ჯანაშია, აკ. [illegible], გრ. მუშუშვილი პროფ. აკ შანიძე, ს. იორდანიშვილი, არკ. ხუნდაძე და ი. ქოქიაშვილი.

28 დეკემბერს საღამოს 7 საათზე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში (რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება ამხ ბროიკერის მოხსენება თემაზე:

„პარტია ზინოვიევის ანტისაბჭოთა ჯგუფთან ბრძოლაში".

მოხსენებაზე მოწვეულია პარტაქტივი და პროპაგანდისტები. შესვლა პარტიული ბილეთებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტკომი.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დ ღ ე ს 1 აბონ. 5 წარ.	28 დეკემბერს მე-3 აბონ. 5 წარ.	29 დეკემბერს 5 აბონ 5 წარ
რიგოლეტო	ევგენი ონეგინი	ლ ა კ მ ე

ბავშვებს და მოზარდებს 17 წლის ასაკამდე თეატრში შესვლა საღამოს წარმოდგენებზე ეკრძალებათ.
ის აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-6 საბონემენტო შესატანი. კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას ხოლო მათი ადგილები გაიყიდება
დაიწყო მეშვიდე საბონემენტო გადასახდელის მიღება ყველა აბონემენტზე.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე

რუსთაველის თეატრი [illegible]

27 დეკემბერს სტ. აბ. 3. მე-3 წ.	28 დეკემბერს მე-15 აბ. 4 წარ	29 დეკემბერს 3 აბონ. 4 წარ.
ინტერვენცია	ინტერვენცია	ნაბიჭვარი

5 იანვრიდან
მეხუთე გადასახადი სავალდებულოა.
შემოტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

27 დეკემბ. აბონ. № 6 მე-3 წარმ.	წარმოდგენა № 46 ოტელო
28 დეკემბ. აბონ. № 0 მე-3 წარმ.	წარმოდგენა № 47 ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ
29 დეკემბ. აბონ. № 8 მე-3 წარ.	წარმოდგენა № 48 ესკადრის დაღუპვა

აბონენტთათვის სავალდებულოა მეოთხე გადასახადი.
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 12, 2, 4, 6, 8, 10
დამკვრელი 5, 7, 9, 11
ტ ე მ პ ი 6-30. 8, 9-30. 11.
რ ლუქსემბურგის სახ. 5-30, 7-20, 9-10, 11
„26"-ის კომ სახ 6, 7-30, 10-30.

დიდი ხმოვანი ფილმი ჩაპაევი
რეჟისორები ძმ. ვასილიევები.
კ/თეატრების დირექტორებთან მიიღება განცხ. სურათზე კოლექტ. დასწრების შესახებ ყოველდღე 12—4 საათამდე.
მხატვრული ფილმი ცდომილი ვარსკვლავები
სოლო სკრიპკაზე—მაყაროვსკი.
მე-9-რე კვირა
უკანასკნელი მასკარადი
დღისით რისთვის დასაჯეს
ამერიკული სათავგადასავლო ფილმი
მცდარ კვალზე. 1-ლი სერია.

27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ამხ. ბერიას სახ. კლუბში
(1-ლი მაისის ქ. № 10)
შესდგება 26 კომუნართა სახელობის მე-2 მოწვევის
რაისაბჭოს პირველი პლენუმი
ნ. 585

საქ. რესპუბლიკის უწყებებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს

საქართველოს სახკომსაბჭოს 1934 წ. 14/XII დადგენილების თანახმად, საქ. რესპუბლიკის უწყებებისა, დაწესებულებების და ორგანიზაციების შტატისა და ხელფასის პროექტებზე დასკვნის მიცემა და დაწესებულ შტატებისა და ხელფასის კონტროლი ევალება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს

აღნიშნულთან დაკავშირებით წინადადება ეძლევა რესპუბლიკის უწყებებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს 1935 წლის შტატისა და ხელფასის პროექტები დასკვნისათვის წარმოადგინონ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში (კვ. ხოველის ქ., № 7) არა უგვიანეს 1934 წ 31/XII.

შენიშვნა: აღნიშნული პროექტები, ფინსახკომში წარმოდგენამდე. წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნეს ცენტრალურ აპარატთან კომისარიატთან, ტრესტთან, სამმართველოსთან და სხ.) რომელშიც შედის ესა თუ ის დაწესებულება

შტატისა და ხელფასის პროექტებს დართული უნდა ექნეს ამომწურავი ახსნა განმარტებითი ბარათი ფაქტების ნათლად და მარტივად აღნუსხვით.

შენიშვნა: დაწესებულებაზე რაიმე ახალი დავალების დაკისრების ან სხვა რაიმე ცვლილებებს შემთხვევებში რომელსაც შეეძლო შტატისა და ხელფასის მყარ მდგომარეობაში ცვალებადობის შეტანა, წარმოდგენილ უნდა იქნეს ახალი მდგომარეობის აუცილებლობის დამადასტურებელი საბუთი.

შტატისა და ხელფასის პროექტები აუცილებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს ქვემოდ აღნიშნულ ფორმების (№ 1 და № 2 იხ. ქვევით ორ-ორ ცალად

აღნიშნული ფორმების გარეშე წარმოდგენილი პროექტები განხილული არ იქნება.

ადგილებზე შტატისა და ხელფასის პროექტები განსახილველად და დასკვნის მისაცემად უნდა წარედგინოს ფინსახკომის განყოფილებებს და რწმუნებულებს.

იმ უწყებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელების და მთავარ ბუხჰალტრების წინააღმდეგ რომელნიც წარმოადგენენ ხელოვნურად გადიდებულ შტატის და ხელფასის პროექტებს, ან რაიმე არასწორ ცნობას და ანგარიშებს, მიღებულ იქნება გადამჭრელი ზომები პასუხისგებაში მიცემამდე.

უწყებებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელნიც დროულად არ წარმოადგენენ შტატისა და ხელფასის პროექტებს, დაეხურებათ კრედიტები.

ხელფასის და შტატების პროექტების წარმოდგენისაგან დამოუკიდებლად უწყებებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ევალებათ წარმოადგინონ საქ. ფინსახკომში სრული სია და მისამართები ქვემდებარე დაწესებულებების 1934 წ. 30 XI-მდე.

საქ ფინ. სახ კომისარი: ლლონტი.

დაწესებულებების დასახელება .... **რომელ სისტემაში შედის** .... **საქმე №** ....
მისამართი .... **ქუჩა №** .... **ტელეფონის №** ....
რომელ ბიუჯეტზეა: სახელმწიფო, ადგილობრივი, სამეურნეო შერეული, კონტოკორ. ანგარიშის № .... **ბანკში.**
საერთო მაჩვენებლები.

ფორმა № 2.

№№ რიგზე	მაჩვენებლების დასახელება	ფაქტიურად იყო 1934 წლისათვის	დამტკიცებული იყო 1934 წელს		ფაქტიურად იყო 1934 წელს		მოთხოვნილია 1935 წლისათვის	ფინსახკომის პროექტი	მეტია (+) თუ ნაკლები (−) ფ. ს. კ. პროექტით				დამტკიცებულია სახკომსაბჭოს მიერ	შენიშვნა
									ფაქტიურთან შედარებით		მოთხოვნილთან შედარებით			
			ცენტრ. სამმართველოს მიერ	ყოფილი მუშ.-გლეხების მიერ	წლ. ...... თვ. განმავლობაში	საშუალოდ თვეში			აბსოლ. ციფრებში	%	აბსოლ. ციფრებში	%		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	შტატი													
2	ძირითადი ხელფასი													
3	დამატებითი ხელფასი													
4	დანარიცხი ხელფასზე													
	სულ ხელფასი													

დაწესებულების ხელმძღვანელი— მთავარი ბუხჰალტერი —

შენიშვნა: მე-6 სვეტში ჩაიწერება „მთელი წლის", თუ წარმოდგენილი იქნება 12 თვის ცნობა მაგ. წლის ბოლოში დეკემბრის დამლევს). დანარჩენ შემთხვევებში ამ სვეტში აღინიშნება თვეების რაოდენობა მიხედვით. თუ როდის სდგება ცნობები, (მაგ. თუ ცნობები სდგება სექტემბერში, წარსადგენად დაიწერება „8 თვის", თუ ცნობები სდგება ნოემბერში, წარსადგენად „10 თვის" და ასე შემდეგ.

დაწესებულების დასახელება .... **მისამართი** .... **ტელეფ. №** ....
ცნობები პირად შემადგენლობის შესახებ ....

ფორმა № 1.

დამტკიცებულია ამხ. .... 193 წ. შეთანხმებულია ამხ .... 193 წ.

№№ რიგზე	გვარი და სახელი (სექტორების, განყოფილებების და სხ. ნაწილების მიხედვით)	თანამდებობა	ხელფასი	სტაჟი		განათლება	პარტიულობა	რ ა ო დ ე ნ ო ბ ა				საქ. ფინსახკომის პროექტი		ნაკლები (—) მეტი (+) ფაქტიურთან შედარებით				დამტკიცებულია სახკომსაბჭოს მიერ		შენიშვნა
								მოთხოვნილი 1935 წ-ის		ფაქტიური 1934 წლ.				შტატი		ხელფასი				
				ამ დაწეს. სპეციალობით	საერთო			შტატი	ხელფასი	შტატი	ხელფასი	შტატი	ხელფასი	აბსოლ. ციფრებში	%	აბსოლ. ციფრებში	%	შტატი	ხელფასი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	0	11	12	13	14	15	6	17	18	19	20	21

დაწესებულებების ხელმძღვანელი—
მთავარი ბუხჰალტერი —

შენიშვნა: ამ ფორმაში დაწესებულებები ავსებენ 1 12 სვეტებს.

775

საქართველოს მუზეუმის დირექცია და მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი იუწყებიან აკადემიკოს
ნიკო მარის
გარდაცვალებას ქვ. 628

ნადია, კოწია, ლეონიდე ხომერიკები, დარო, იპოლიტე, შიო, ბაბულია, ვალია, ლიზიკო, კატო, სერაპიონი, ლასა დოლიძეები იუწყებიან სიძის
იოსებ გლახუას-ძე ფარდანაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 დეკემბერს 4 ს. გამოსვენება მგალობლიშვილის ქ. № 16
1—1

ცეკავშირის გაერთიანებული ადგილკომი და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან დაუღალავი, აქტიური თანამშრომლის
ამხ. ლეო ჯაყელის
1—1 გარდაცვალებას. ქვ. 6302

ცეკავშირის პარტორგანიზაცია იუწყება ამავე ორგანიზაციის აქტიური წევრის და ენერგიული მუშაკის
ამხ ლეო ჯაყელის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 დეკემბერს.
1—1 ქვ. 6301

სახუნტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები: ცინცაძე, მიქაბერიძე, შეწირული, დავითაია, ჩანტლაძე, ხარჩილავა, ტოროტაძე, ანთელიძე, გიორგაძე, მახარაძე. ჩარგეიშვილი, ხინთრავა იუწყებიან ამხ. ვახტანგ ბუბუტეიშვილის მამის
ონიფანტე ბუბუტეიშვილის
1—1 გარდაცვალებას. ქვ. 6302

მეუღლე ვასო ხუნწარია, შვილი ხოდორიკო იუწყებიან ერთგული მეგობრის და დედის
ჟენიკო მანჯგალაძე-ხუნწარიას
გარდაცვალებას დაკრძალვა 29 დეკემბერს ტფილისში.
1—1 ქვ. 6305

მამამთილი ლუკა, დედამთილი მართა, მულები: ვალია, და თამარა, მაზლი აქვსენტი იუწყებიან
ჟენიკო მანჯგალაძე—ხუნწარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ტფილისში 29 დეკემბერს.
1—1

ცენტრ. საკოლმეურნეო ბაზრის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე სამმართველოს თანამშრომლის ვახტანგი ბუბუტეიშვილის მამის
ონიფანტე ლუკას-ძე ბუბუტეიშვილის
1—1 გარდაცვალებას. ქვ. 6307

26 კომ. რაიჯანგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ენერგიული მუშაკის
ექ. ფეფიკო კიკნაძე—მალანიას
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 27 დეკემბერს 4 საათზე კახეთის ქ. № 64
1—1 ქვ. 6299

ექიმები: გ. არუშანოვი. თ. რობაქიძე, ა. სეფიაშვილი, მერი და თინა უზნაძეები, გ. წურწუმია, ს. მარქაროვი, ნ. კარბელაშვილი. ს მოშიაშვილი, მ. გარსევანიშვილი, ნ. ბრეგაძე. ამხანაგები: ა. გვიჩია. ი. ფანცულაია იუწყებიან უახლოესი მეგობრის
ექ. ფეფიკო კიკნაძე-მალანიას
უდროოდ გარდაცვალებას.
1—1 ქვ 6299

სრ საკავშირო [illegible] ბოლშევიკთა საზ-ბის საქართველოს განყოფილების ბიურო იუწყება. რომ 26 დეკემბერს დილით ტფილისში [illegible] გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკთა საზ-ბის წევრი
ამხ. ანტონ ივანეს-ძე ზაზარ[illegible]
1—1 ქვ 6311

მისამართები. რედაქცია, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობა რუსთაველის პროსპ. № 44 ტელეფონები: რედაქტორის 3-62-26. რედაქტორის მოადგილის 3-62-08 პასუხისმგებელი მდივნის 3-06-28 მასობრივი განყოფილების 3—73-24. პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04. გამომცემლობის — 3-51-81. ხელნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

ტირაჟი 98.000. სტამბა „კომუნისტი", კალოს ქ. № 58 მთავლიტის რწმუნებული 9444